

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა
(სსე)



დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმა (SEP)

ენერგეტიკული უსაფრთხოების
გაძლიერება ელექტროენერგეტიკული
ინტეკონექციის და განახლებადი
ენერჯის პროგრამის ფარგლებში

(P179950)

იანვარი 2024

სარჩევი

| | | |
|-----|--|----|
| 1 | შესავალი / პროექტის აღწერა..... | 4 |
| 1.1 | შესავალი | 4 |
| 1.2 | პროექტის მიმოხილვა | 5 |
| 1.3 | დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმის (SEP) მიზნები და ამოცანები | 6 |
| 2 | სამართლებრივი ჩარჩო და IFI რეგულაციები და მოთხოვნები..... | 7 |
| 2.1 | საერთო მიმოხილვა | 7 |
| 2.2 | საქართველოს და საერთაშორისო საზღვაო კანონმდებლობა და რეგულაციები | 7 |
| 2.3 | კრედიტორების პოლიტიკა | 7 |
| 3 | მნიშვნელოვანი კონსულტაციები..... | 10 |
| 4 | დაინტერესებულ პირთა ჩართულობის პროგრამა..... | 11 |
| 4.1 | წინა პროექტებიდან მიღებული გამოცდილება. | 11 |
| 4.2 | პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარეების იდენტიფიკაცია და ანალიზი | 11 |
| 4.3 | პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარეები | 12 |
| 4.4 | დაუცველი / მოწყვლადი ფიზიკური პირები ან ჯგუფები..... | 16 |
| 4.5 | დაინტერესებულ პირთა ინტერესების შეჯამება და ზემოქმედება პროექტზე..... | 16 |
| 5 | დაინტერესებული მხარეების ჩართულობის პროგრამა..... | 18 |
| | დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის აქტივობებმა უნდა უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეებისა კონკრეტული ჯგუფებისთვის შესაბამისი ინფორმაციითა და შესაძლებლობებით უზრუნველყოფა, რათა მათ გამოხატონ თავიანთი შეხედულებები მათთვის მნიშვნელოვან თემებზე. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია დაინტერესებული მხარეების ჩართულობის აქტივობები, რომლებიც გათვალისწინებულია პირველ ეტაპზე დაინტერესებულ მხარეთა თითოეული ჯგუფისთვის. სპეციფიური მეთოდები დეტალურად არის ახსნილი მომდევნო ქვეთავებში..... | 18 |
| 5.1 | დეტალები ჩართულობის მეთოდების შესახებ | 19 |
| 5.2 | მოწყვლადი ჯგუფის მოსაზრებების წარმოდგენის შეთავაზებული სტრატეგია..... | 21 |
| 5.3 | ინფორმაციის გამჟღავნება | 21 |
| 6 | დაინტერესებულ პირთა ჩართულობის ფუნქციები, პასუხისმგებლობები და რესურსები | 21 |
| 6.1 | განხორციელების ზომები..... | 21 |
| 6.2 | ფუნქციები და პასუხისმგებლობები | 22 |
| 7 | საჩივრებზე რეაგირების მექანიზმი..... | 24 |
| 7.1 | შესავალი | 24 |
| 7.2 | თანამშრომლების საჩივრების წარდგენის და განხილვის მექანიზმი..... | 28 |
| 7.3 | სსე-ს საკონტაქტო მონაცემები..... | 30 |
| 8 | მონიტორინგის და ანგარიშგება | 31 |
| 8.1 | დაინტერესებული მხარეების ჩართვა მონიტორინგის საქმიანობაში..... | 31 |
| 8.2 | დაინტერესებულ პირთა ჩართვა მონიტორინგის ღონისძიებებში..... | 33 |
| 8.3 | ანგარიშგება დაინტერესებულ პირთა ჯგუფების მიმართ | 33 |
| 9 | . მიახლოებითი ბიუჯეტი..... | 33 |

აკრონიმები

| აკრონიმი | განმარტება |
|----------|---|
| AH | ზემოქმედების ქვეშ მყოფი ოჯახი / შინამეურნეობები |
| CLO | მოსახლეობასთან ურთიერთკავშირის სპეციალისტი |
| E&S | გარემოსდაცვითი და სოციალური გარემო |
| EMF | ელექტრომაგნიტური ველი |
| ESCP | გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებების გეგმა |
| ESF | გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩო-დოკუმენტი |
| ESIA | ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება |
| ESS | გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტი |
| GRC | საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტი |
| GRM | საჩივრებზე რეაგირების მექანიზმი |
| GSE | საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა |
| IDP | იძულებით გადაადგილებული პირები |
| KV | კილოვოლტი |
| NGO | არასამთავრობო ორგანიზაცია |
| OHL | ელექტროგადამცემი ხაზი |
| OIP | სხვა დაინტერესებული პირები |
| PAP | პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარეები |
| RAP | განსახლების სამოქმედო გეგმა |
| SEP | დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმა |
| WB | მსოფლიო ბანკი |

1 შესავალი / პროექტის აღწერა

1.1 შესავალი

დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმა (SEP), რომელიც მოამზადა და რომელსაც განახორციელებს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა (სსე) – „ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება ელექტროენერგეტიკული ინტეგრაციის და განახლებადი ენერჯის პროგრამის“ (P179950) - მომზადების ფარგლებში. საქართველოს გადამცემი ქსელის ოპერატორს - საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას (სსე) - აქვს საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა 2023-2033 (TYNDP 2023-2033), რომლის მიზანია ქვეყანაში ენერგომომარაგების საიმედოობის და საქართველოს ენერგეტიკული სისტემის რეგიონული დაკავშირების შესაძლებლობების გაუმჯობესება. ერთ-ერთი პროექტია შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის დაგეგმილი სამშენებლო პროექტი, რომელიც გულისხმობს შავი ზღვის გავლით საქართველოსა და რუმინეთის ელექტროგადამცემი და ციფრული ურთიერთდამაკავშირებელი ხაზის მშენებლობას. პროექტი განხორციელდება სამ ცალკეულ ეტაპად.

ეტაპი 1: მოსამზადებელი ტექნიკური დახმარების დაფინანსების კომპონენტი

- A. შავი ზღვის ზღვის ფსკერის გეოფიზიკური და გეოტექნიკური კვლევები.
- B. იურიდიული და ფინანსური კონსულტაცია და ტექნიკური დახმარება

ეტაპი 2: ელექტროგადამცემი ქსელის გაძლიერება

ეტაპი 3: წყალქვეშა კაბელის და გარდამქმნელი სადგურის დაფინანსება.

წინამდებარე დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმა ძირითად კონცენტრირებულია პირველ ფაზაზე და პერიოდულად განახლდება შემდგომი ეტაპების მოცვის მიზნით.

აღნიშნული პროექტი მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს სამხრეთ კავკასიის (SC) ქვეყნებს და რუმინეთს. კერძოდ, ელექტროკაბელი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს საშუალებას მისცემს, ისარგებლონ გაფართოებული საექსპორტო შესაძლებლობებით რუმინეთში და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში (SEE) ელექტროენერჯის ბაზრის საათობრივი ფასების და ელექტროენერჯის იმპორტის გათვალისწინებით ზამთარში კონკურენტული ტარიფებით, რაც შეამცირებს არსებულ ძვირადღირებულ იმპორტზე და სითბურ გენერაციაზე დამოკიდებულებას.

ინტერკონექციის პროექტი ასევე ხელს შეუწყობს უფრო ფართო მზის ფოტოელექტრო ენერჯის (PV) და ქარის სიმძლავრის ინტეგრაციას რუმინეთში, ახალი ევროპის მწვანე ენერჯის შეთანხმების გათვალისწინებით, რომელიც იძლევა კონკურენტუნარიანი ტარიფების შესაძლებლობას აღნიშნული ცვალებადი ელექტროენერჯის წყაროებისთვის. ინტერკონექციის პროექტი ასევე სომხეთს მისცემს განახლებადი ენერჯის (RE) ექსპორტის შესაძლებლობას ჰიდრო და მზარდი მზის ფოტოელექტრო ენერჯიდან (PV) მიღებული ელექტროენერჯის საფუძველზე მზის ფოტოელექტრო ენერჯის (PV) მასშტაბების გაფართოების მიმდინარე ამბიციური პროგრამის გათვალისწინებით..

ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი (OFC) გაზრდის ფართო სპექტრის მონაცემების გადაცემას და

ხელს შეუწყობს ფასების შემცირებას საქართველოში და მთლიანად სამხრეთ კავკასიაში, ასევე სატრანზიტო გადაცემიდან შემოსავლებს მისცემს ახლო აღმოსავლეთის, შუა აზიის და სამხრეთ აზიის ქვეყნებს. ასევე ხელს შეუწყობს ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) დარგის შემდგომ განვითარებას, ზოგ ქვეყანაში მიღწეული პროგრესის გათვალისწინებით, სადაც ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) ინდუსტრია მეტად სწრაფად გაფართოვდა ბოლო ათი წლის განმავლობაში. პროექტის უნიკალური მასშტაბის გამო, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი (OFC) შეიძლება გამოყენებული იქნეს ჰიბრიდული ელექტრო-სატელეკომუნიკაციო კაბელის ან პარალელური კაბელის ფარგლებში, ტექნიკური და ეკონომიკური დასაბუთებულობიდან გამომდინარე.

1.2 პროექტის მიმოხილვა

1.2.1 პროექტის ტიპი და ადგილმდებარეობა

პროგრამა 1-ელ ეტაპზე დააფინანსებს შავი ზღვის ფსკერის გეოფიზიკურ და გეოტექნიკურ კვლევებს კაბელის მარშრუტის ოპტიმიზაციის მიმართულებით, შიდა მაღალი ძაბვის ქსელთან მიერთების მოსამზადებელ კვლევებს, ასევე შესაბამის მოსამზადებელ ტექნიკურ დახმარებას, მათ შორის გარემოსდაცვითი და სოციალური (E&S) დოკუმენტების მომზადებას და კონსულტაციებს იურიდიულ და კომერციულ სფეროში.

მე-2 ეტაპზე დაფინანსდება ინვესტიციები, რომლებიც საჭიროა საქართველოს მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ქსელის გასაძლიერებლად, წყალქვეშა კაბელით ერთმანეთთან დაკავშირების და ელექტროენერჯის გადაცემის მიზნით. საქართველოს გადამცემ ქსელთან კავშირის მოსალოდნელი მიერთების წერტილები იქნება ჯვარის და წყალტუბოს ქვესადგურები, მაგრამ ეგზ-ის ზუსტი მარშრუტი ჯერ კიდევ განხილვის პროცესშია.

1.2.2 გარემოსა და სოციალურ საკითხებზე (E&S) პოტენციური ზემოქმედებების შეჯამება

შეფასებით გამოვლინდა ძირითადად არამნიშვნელოვანი ზემოქმედებები. პროგრამის პირველი ეტაპის სამუშაოებმა შესაძლოა უმნიშვნელო გავლენა იქონიოს ადგილობრივ პორტებზე, თევზის მრეწველობაზე, აკვაკულტურის მრეწველობაზე, სანაპირო თემებსა და მოსახლეობაზე, ასევე ტურიზმის ინდუსტრიაზე.

პოტენციური ზემოქმედებები:

- პოტენციური ზემოქმედებები ბიომრავალფეროვნების კანონით დაცულ ტერიტორიებზე.
- პოტენციური ზემოქმედება ინფრასტრუქტურებზე, ტრანსპორტზე და გადაადგილებაზე. დადებითი ზემოქმედება ეკონომიკაზე დასაქმების და საქონლის მოთხოვნებიდან გამომდინარე.
- უარყოფითი ზემოქმედებების კუთხით, პროექტმა შესაძლოა გამოიწვიოს სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის და უსაფრთხოების (OHS) რისკები დასაქმებულთათვის, განსაკუთრებით გემის ეკიპაჟისთვის.
- პოტენციური ზემოქმედება ოკეანოგრაფიაზე და ზღვის წყლის ხარისხზე ქიმიური ნაერთების ემისიის (ძირითადად გემის ძრავების და პროპელერების შედეგად) და ნარჩენების წარმოქმნის გამო, ფაქტობრივად მოსალოდნელია პროექტისთვის ყველა

გემიდან.

- ჰაერის ხარისხის დროებითი გაუარესება და ზემოქმედება კლიმატზე გემების მობილიზაციის დროს დიზელის ძრავების წვის შედეგად გამოყოფილი მტვრის, აირისებრი ატმოსფერული დამაბინძურებლების (SO₂ და NO_x) და სათბურის გაზების (CO₂, CH₄, O₃ და N₂O) ემისიების გამო.
- ზღვის აკუსტიკის დროებითი და შეზღუდული ზრდა.
- პოტენციური ზემოქმედება დანალექებზე და ზღვის ფსკერის მორფოლოგიაზე, კაბელის გაყვანის და ელექტროდების დამონტაჟების საქმიანობების გამო.
- მოსალოდნელია, რომ ზემოქმედება ბიომრავალფეროვნების კანონით დაცულ ტერიტორიებზე და მნიშვნელოვან ტერიტორიებზე უმნიშვნელო იქნება (უმნიშვნელოდან - დაბალი).

1.3 დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმის (SEP) მიზნები და ამოცანები

დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმის მიზანია იმის განმარტება, თუ როგორ მოხდება პრაქტიკულად დაინტერესებულ პირთა ჩართულობა პროექტის განხორციელების პროცესში, კერძოდ 1-ელ ეტაპზე და რა მეთოდები გამოიყენება ამ პროცესის ფარგლებში; ასევე სსე-ს და კონტრაქტორების პასუხისმგებლობების ასახვა დაინტერესებულ პირთა ჩართულობის ღონისძიებების განხორციელებაში.

მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩო დოკუმენტის (ESF) შესაბამისად, დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმაში წარმოდგენილი ინფორმაციის გამჭვირვებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გაფართოებული მიზნებია:

- სისტემატური მიდგომის დანერგვა დაინტერესებული პირების ჩართულობის მიმართ და კონსტრუქციული ურთიერთობის დამყარება მათთან, კერძოდ, პროექტზე ზემოქმედების ქვეშ მყოფ მხარეებთან;
- დაინტერესებულ მხარეთა განსაზღვრა, მათ შორის, ადგილობრივი, საერთაშორისო, სამთავრობო და არასამთავრობო პირების;
- დაინტერესებულ პირთა ინტერესის და მხარდაჭერის დონის შეფასება პროექტთან დაკავშირებით და დაინტერესებულ პირთა მოსაზრებების გათვალისწინება პროექტის სქემაში და გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების საქმიანობებში.
- პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ მხარეებთან ეფექტური და ინკლუზიური ჩართულობის ხელშეწყობა და საშუალებების უზრუნველყოფა პროექტის ციკლის განმავლობაში იმ საკითხებზე, რომლებმაც შესაძლოა პოტენციურად გავლენა იქონიოს მათზე;
- პროექტის შესაბამისი ინფორმაციის გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედებების შესახებ დაინტერესებული მხარეებისთვის დროულად, გასაგებად, ხელმისაწვდომი და სათანადო ფორმითა და ფორმატში მიწოდების უზრუნველყოფა.

ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა აუცილებელია პროექტის წარმატებისთვის, პროექტის პერსონალსა და ადგილობრივ თემებს შორის შეუფერხებელი თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად და პროექტთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მინიმუმამდე დაყვანისა და შერბილების მიზნით.

2 სამართლებრივი ჩარჩო და IFI რეგულაციები და მოთხოვნები

2.1 საერთო მიმოხილვა

პროექტის სამართლებრივი და პოლიტიკის ჩარჩო ეფუძნება ეროვნულ კანონმდებლობას და მსოფლიო ბანკის ESS მოთხოვნებს. პროექტთან დაკავშირებული მიწის შესყიდვისა და განსახლების (LAR) პრინციპები შემუშავდება მოქმედი სამართლებრივი ნორმებისა და პოლიტიკის ანალიზის მოთხოვნების საფუძველზე.

2.2 საქართველოს და საერთაშორისო საზღვაო კანონმდებლობა და რეგულაციები

საქართველოში, ქვემოთ მითითებული საკანონმდებლო აქტები შეესაბამება პროგრამის მიზნებს:

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი.
- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი;
- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
- საქართველოს კანონი სახელმწიფო ქონების შესახებ;
- საქართველოს კანონი საჯარო რეესტრის შესახებ;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
- საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ.

გარდა ამისა, კონტრაქტორები, რომლებიც მუშაობენ ზღვის ფსკერის კვლევაზე, უზრუნველყოფენ, რომ კონტრაქტორი თანმიმდევრულად დაიცავს ნაოსნობის უსაფრთხოების საერთაშორისო წესებსა და სტანდარტებს, რომლებიც დადგენილია გაეროს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მიერ და ასახულია ზღვაში სიცოცხლის უსაფრთხოების საერთაშორისო კონვენციაში (SOLAS), 1974; კონვენციაში ზღვაში გემების შეჯახების თავიდან აცილების საერთაშორისო რეგულაციების შესახებ (COLREG), 1972 წ.; და საერთაშორისო კონვენციაში მეზღვაურთა მომზადების, სერტიფიცირებისა და ვახტზე დგომის სტანდარტების შესახებ (STCW), 1978 წ. წყლის აკვატორიაზე და გემებზე ასევე გავრცელდება 2006 წელს მიღებული კოდექსი საზღვაო ნაოსნობაში შრომის ნორმების შესაბამისობის კონვენციის შესახებ.

2.3 კრედიტორების პოლიტიკა

მსოფლიო ბანკის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების ჩარჩო დოკუმენტის (ESF) გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტი (ESS) 10, “დაინტერესებულ პირთა ჩართულობა და ინფორმაციის გამჟღავნება“, აღიარებს „მსესხებელსა და პროექტის დაინტერესებულ პირებს შორის ღია და გამჭვირვალე ჩართულობის მნიშვნელობას, როგორც სათანადო საერთაშორისო პრაქტიკის არსებით ელემენტს“ (მსოფლიო ბანკი, 2017: 97). კონკრეტულად, ESS10

განსაზღვრული მოთხოვნები მითითებულია ქვემოთ:

- “მსესხებლები ჩაერთვებიან დაინტერესებულ პირებთან პროექტის განხორციელების პროცესში, შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე პროექტის განვითარების პროცესში და იმ ვადებში, რომ შესაძლებელი იყოს ნაყოფიერი კონსულტაციების წარმოება დაინტერესებულ პირებთან პროექტის განხორციელების გეგმის შესახებ. დაინტერესებულ პირთა ჩართულობის ბუნება, ფარგლები და სიხშირე პროექტის ბუნების და მასშტაბის და მისი პოტენციური რისკების და ზემოქმედებების პროპორციული იქნება“.
- მსესხებლები მონაწილეობას მიიღებენ ნაყოფიერ კონსულტაციებში ყველა დაინტერესებულ პირთან. მსესხებლები უზრუნველყოფენ დაინტერესებულ პირებს დროული, რელევანტური, გასაგები და ხელმისაწვდომი ინფორმაციით და გაივლიან კონსულტაციას მათთან სათანადო ფორმით, მანიპულაციის, ჩარევის, იძულების, დისკრიმინაციის და დაშინების გარეშე.

დაინტერესებულ პირთა ჩართულობის პროცესი მოიცავს შემდეგ საკითხებს, რომლებიც დეტალურად არის მოცემული ESS-ში:

- (i) დაინტერესებული პირის იდენტიფიკაცია და ანალიზი;
- (ii) დაინტერესებულ პირებთან ჩართულობის დაგეგმვა;
- (iii) ინფორმაციის გამჟღავნება;
- (iv) კონსულტაცია დაინტერესებულ პირებთან;
- (v) საჩივრების განხილვა და მათზე რეაგირება; და
- (vi) ანგარიშგება დაინტერესებულ პირთა წინაშე.

მსესხებელი, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ფარგლებში, აწარმოებს და გამოაქვეყნებს დაინტერესებულ პირთა ჩართულობის დოკუმენტირებულ ჩანაწერს, მათ შორის იმ დაინტერესებული პირების აღწერას, რომელმაც გაიარა კონსულტაცია, მიღებული საპასუხო ინფორმაციის მოკლე რეზიუმეს და მოკლე განმარტებას იმის შესახებ, თუ რამდენად იქნა გათვალისწინებული ასეთი ინფორმაცია ან მიეზღვის, თუ რატომ არ იქნა გათვალისწინებული.” (მსოფლიო ბანკი, 2017: 98).

დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმა, რომელიც პროექტის ბუნების და მასშტაბის და მისი პოტენციური რისკების და ზემოქმედებების პროპორციულია, საჭიროებს შემუშავებას მსესხებლის მიერ. აღნიშნული გეგმა უნდა გამოაქვეყნდეს შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში და პროექტის შეფასებამდე და მსესხებელმა უნდა მოითხოვოს დაინტერესებულ პირთა მოსაზრებები დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმის შესახებ, მათ შორის დაინტერესებულ პირთა იდენტიფიკაცია და წინადადებები მომავალი ჩართულობისთვის. დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელების შემთხვევაში, მსესხებელმა უნდა გამოაქვეყნოს შესწორებული დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმა (მსოფლიო ბანკი, 2017: 99).

ESS10-ს შესაბამისად, მსესხებელმა ასევე უნდა წარმოადგინოს და განახორციელოს საჩივრების წარდგენის და განხილვის მექანიზმები პროექტის ეკოლოგიურ და სოციალურ ეფექტურობასთან დაკავშირებით პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარეების საჩივრების და პრობლემების გადაწყვეტის გამარტივების და დროულად მიღების მიზნით. (მსოფლიო ბანკი, 2017: 100).

• საქართველოს კანონმდებლობისა და WB ESS შედარება

საქართველოში მიწის გაცვლაზე კომპენსაციის მიღების უფლება ეფუძნება საკუთრების რეგისტრაციას. თუმცა, კრედიტორების არანებაყოფლობითი განსახლების პოლიტიკის მიხედვით, ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებს უფლება აქვთ მიიღონ გარკვეული სახის კომპენსაცია, მიუხედავად იმისა, ფლობენ თუ არა რეგისტრირებულ მიწის უფლებას, თუ მათ დკავებული აქვთ ან სარგებლობენ მიწით შეწყვეტის თარიღამდე. კრედიტორების პოლიტიკა ორიენტირებულია სიღარიბის უარყოფითი ზემოქმედების შერბილებაზე, თუ ნებისმიერი უარყოფითი ზემოქმედება პირდაპირ ან ირიბად მიეკუთვნება პროექტის ფარგლებში დაფინანსებულ საქმიანობას. იმ შემთხვევებში, თუ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირს არ აქვს საკუთრების ან ფლობის უფლება რეგისტრაციის არარსებობის გამო, გამოყენებული იქნება კრედიტორების მოთხოვნების დებულებები კომპენსაციის, კონსულტაციისა და საჩივრებზე რეაგირების მექანიზმების კუთხით. საქართველოს კანონმდებლობის საკომპენსაციო მოთხოვნებსა და კრედიტორების მოთხოვნებს შორის განსხვავების შემთხვევაში, გამოყენებული იქნება ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ადამიანებისთვის უფრო მომგებიანი პირობები, იმისათვის, რომ კრედიტორებმა მხარი დაუჭირონ პროექტს და დააფინანსონ პროექტი.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია საქართველოს კანონმდებლობას და კრედიტორების მოთხოვნებს შორის განსხვავებების ანალიზი.

ცხრილი 2-1 საქართველოს კანონმდებლობის / ნორმების და კრედიტორების პოლიტიკის შედარება

| საკითხი | საქართველოს კანონმდებლობა ა და რეგულაციები | WB მიწის ჩამორთმევა, იძლებით განსახლება და საარსებო გარემოს აღდგენის მოთხოვნები | სსე-ს მიერ მიღებული ზომები საქართველოს კანონმდებლობას და კრედიტორების მოთხოვნებს შორის შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად. |
|---------------------------|--|--|--|
| საჩივრები და წინადადებები | საქართველოს კანონმდებლობა არ მოითხოვს საჩივრებზე რეაგირების მექანიზმის შექმნას პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობისათვის და ბიზნესებისთვის. | უნდა არსებობდეს დამოუკიდებელი ობიექტური გასაჩივრების მექანიზმი, რომელიც ღია და გამჭვირვალეა საზოგადოებისთვის. პროექტის ავტორმა უნდა შექმნას საჩივრებზე რეაგირების მექანიზმი რაც შეიძლება ადრე პროცესში, დროულად მიღების / რეაგირების მიზნით. | სსე-მ შექმნა საჩივრების გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი საჩივრებზე რეაგირების მექანიზმი, რომელიც გამოიყენება პროექტების განხორციელების განმავლობაში |
| კონსულტაცია PAP-თან | არ არსებობს ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებთან კონსულტაციის მოთხოვნები. | ხელშეკრულებების ხელმოწერის დაწყებამდე ყველა ზემოქმედების ქვეშ მყოფმა და დაზარალებულმა პირმა უნდა გაიაროს კონსულტაცია. კომპენსაცია უნდა იყოს შეთანხმებული აქტივების გადაცემამდე და | ყველა ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი გაივლის კონსულტაციას ხელშეკრულებების ხელმოწერამდე. მ კომპენსაცია შეთანხმებული იქნება აქტივების გადაცემამდე და |

| საკითხი | საქართველოს კანონმდებლობა ა და რეგულაციები | WB მიწის ჩამორთმევა, იძლებით განსახლება და საარსებო გარემოს აღდგენის მოთხოვნები | სსე-ს მიერ მიღებული ზომები საქართველოს კანონმდებლობას და კრედიტორების მოთხოვნებს შორის შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად. |
|---------|--|---|---|
| | | სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ტერიტორიაზე. | სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ტერიტორიაზე. |

საქართველოს კანონებს/რეგულაციებსა და მსოფლიო ბანკის პოლიტიკას შორის არსებული შეუსაბამობების აღმოსაფხვრელად, სსე მოამზადებს განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტს და აღნიშნულ RAP-ს, პროექტისთვის, რომელიც უზრუნველყოფს კომპენსაციას და არაოფიციალური დასახლებული პირების რეაბილიტაციას და უზრუნველყოფს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი შინამეურნეობების გადაადგილებას, რომლებმაც განიცადეს კომერციული ზარალი ან ძლიერ დაზარალდნენ.

3 მნიშვნელოვანი კონსულტაციები

სსე აქტიურად თანამშრომლობს პროექტის დაინტერესებულ მხარეთა მრავალფეროვან სპექტრთან, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე. ამ დროისთვის, ჩართულობის ძალისხმევა ძირითადად ორიენტირებულია სახელმწიფო დონის პროექტის დაინტერესებულ მხარეებზე (იხ. ცხრილი 4.2). 2023 წლის აპრილში სსე-მ მოინახულა პროექტის პოტენციური ლოკაციები ანაკლიასა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტში. აღნიშნული ვიზიტი მოიცავდა შეხვედრებს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებისა თუ სსე-ს სხვადასხვა დეპარტამენტის წარმომადგენლებთან. აღნიშნულ მონაწილეებს წარმოადგენდნენ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, შპს „ანაკლიის საზღვაო ნავსადგური“, სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტო“ და ზუგდიდის ადგილობრივი ხელისუფლება. ეს ვიზიტი, მასში მრავალრიცხოვანი დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ძალიან მნიშვნელოვანი იყო პროექტის შემდგომი მიზნისა და პირველი ეტაპის კომპონენტების განსასაზღვრად. ამასთან, სსე-ს საერთაშორისო პროექტების დეპარტამენტი მუდმივად თანამშრომლობს სხვა ისეთ დაინტერესებულ მხარეებთან, როგორებიც არიან საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო და სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო“. 2023 წლის ოქტომბერში, შპს „ანაკლიის საზღვაო ნავსადგურთან“ და სხვა შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან შემდგომმა კონსულტაციებმა გამოიწვია წყალქვეშა კაბელის მარშრუტის შესაძლო შემდგომი ცვლილებები პროექტის განხორციელების მეორე ეტაპზე. ამ შეხვედრის შემდეგ, აპრილის დასაწყისში, განმეორებით მოეწყო ვიზიტი პროექტის ტერიტორიებზე. ამ ვიზიტში მონაწილეობდნენ როგორც სახელმწიფო უწყებების, ასევე სსე-ს სხვადასხვა დეპარტამენტის წარმომადგენლები. სავლეთ ვიზიტის შემდგომ გამოიკვეთა ღირებული შეხედულებები, რის შედეგადაც მოხდა ცვლილებები და დაზუსტებები რამდენიმე მარშრუტსა და ლოკაციაში.

4 დაინტერესებულ პირთა ჩართულობის პროგრამა

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის აქტივობებმა უნდა უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეების კონკრეტულ ჯგუფებს შესაბამისი ინფორმაცია და შესაძლებლობები, გამოხატონ თავიანთი შეხედულებები მათთვის მნიშვნელოვან თემებზე. პროექტის არსებითად მგრძობიარე და ტრანსპარენტული ხასიათის გათვალისწინებით, სახელმწიფო დონეზე შემუშავდება ფართო საზოგადოებასთან ურთიერთობის კამპანიები და საკომუნიკაციო სტრატეგიები.

4.1 წინა პროექტებიდან მიღებული გამოცდილება.

რამდენიმე მნიშვნელოვანი გაკვეთილი იქნა ათვისებული ადრე განხორციელებული ბათუმი-ახალციხის ელექტროგადამცემი ხაზის პროექტიდან, რომელიც დაფინანსებულია მსოფლიო ბანკის მიერ ელექტროგადამცემი ქსელის გაძლიერების პროექტის (TGSP) ფარგლებში. პროექტის განხორციელების პროცესში ცხადი გახდა, რომ მოსახლეობის უმეტესობა შეშფოთებას გამოთქვამდა ელექტრომაგნიტური ველის (EMF) ზემოქმედების შესახებ. სსე-მ წარმოადგინა ბროშურები, რომლებშიც მითითებული იყო ინფორმაცია პროექტის, პროექტის ზემოქმედების და პროექტის საჩივრებზე რეაგირების მექანიზმის შესახებ.

თუმცა, ბროშურები არ მიეწოდა ზემოქმედების ქვეშ მყოფი ოჯახების უმეტესობას. აქედან გამომდინარე, სსე-მ მოამზადა უფრო მიზანმიმართული საკომუნიკაციო მასალები, მათ შორის ვიდეო-კლიპები და PowerPoint პრეზენტაცია, ელექტრომაგნიტური ველის (EMF) ზემოქმედების და უსაფრთხოების წესების შესახებ განმარტებების უზრუნველყოფის მიზნით. გარდა ამისა, პროექტის საჩივრებზე რეაგირების მექანიზმი მიმდინარე პროექტის ფარგლებში იყო შემთხვევითი და არაოფიციალური, და არ ითვალისწინებდა საჩივრების სისტემატურ მიკვლევადობას და მონიტორინგს. დღესდღეობით სსე-ს აქვს ყოვლისმომცველი საჩივრებზე რეაგირების მექანიზმი /GRM.¹ წინა პროექტებიდან მიღებული გამოცდილება მიუთითებს საინფორმაციო კამპანიების ადრეული განხორციელების კრიტიკულ მნიშვნელობაზე. ეს ნაბიჯი აუცილებელია ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემებისთვის სანდო და რეალური ინფორმაციის მიწოდებისთვის, მათი მოლოდინების გადაჭარბების თავიდან ასაცილებლად. საინფორმაციო ცენტრების შექმნა დამატებით უზრუნველყოფს ამ თემების აქტიურ მონაწილეობას კონსულტაციების პროცესში და დაგეგმილი ღონისძიებების ეფექტურ განხორციელებას. მიუხედავად იმისა, რომ 1 ეტაპი არ ეხება გადამცემი ხაზის მშენებლობას და შემდგომ EMF რისკებს, ინფორმირებულობის ამაღლების წინასწარი კამპანია ხელს შეუწყობს პროგრამის მთლიან განხორციელებას.

4.2 პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარეების იდენტიფიკაცია და ანალიზი

რეკომენდებულია დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციის გავლა და ინფორმირება პროექტის ადრეული ეტაპებიდან, რაც ხელს შეუწყობს დაინტერესებულ პირებთან კონფლიქტების თავიდან აცილებას მოგვიანებით ეტაპზე. ასევე შესაძლოა ხელი შეუწყოს

¹<https://www.gse.com.ge/projects/Grievance-Redress-Mechanism>

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედებების თავიდან აცილებას და შერბილების გაუმჯობესებას.

ალტერნატიული მარშრუტიზაციის ხაზების შედარებისას (ან ზოგადად პროექტის ალტერნატივის შედარება) რეკომენდებულია დაინტერესებულ პირებთან წინასწარი კონსულტაციების გავლა, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი მხარეების პერსპექტივების გაგების მიზნით ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედებების შესახებ და პროექტის გეგმის შესწორების მიზნით ხარჯების მინიმუმამდე დაყვანისთვის და ოფციონის შერჩევის მიზნით, რომელიც ასევე ითვალისწინებს ადამიანების პრიორიტეტებს. პროექტის განხორციელების გეგმაში გარემოსდაცვითი კვლევების მომზადება ხდება საპროექტო ეტაპზე. RAP-ის მომზადება, როგორც წესი, ხორციელდება მას შემდეგ, რაც ხელმისაწვდომი იქნება ტექნიკური / დეტალური პროექტი (ყოველ შემთხვევაში ეგხ-ს პროექტებისთვის) და შემდეგ განხორციელდება RAP, რომელიც უნდა დასრულდეს მშენებლობის დაწყებამდე. აღნიშნული ორი ეტაპი 1. გარემოსდაცვითი კვლევები და 2. RAP-ის კვლევა და RAP-ის განხორციელება, ითვალისწინებს დაინტერესებული პირების ინფორმირების მაღალ დონეს და კონსულტაციების მოთხოვნებს.

ტერმინი “**სხვა დაინტერესებული მხარეები**” (OIPs) მოიცავს “ფიზიკურ პირებს, ჯგუფებს ან ორგანიზაციებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან პროექტით, პროექტის ადგილმდებარეობის, მისი მახასიათებლების, მისი ზემოქმედებების, ან საზოგადოებრივ ინტერესთან დაკავშირებული საკითხების გამო. მაგალითად, ასეთ მხარეებში შესაძლოა შედიოდნენ მარეგულირებელი ორგანოები, სახელმწიფო მოხელეები, კერძო სექტორი, მეცნიერთა წრე, აკადემიკოსები, კავშირები, ქალთა ორგანიზაციები, სხვა სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები და კულტურული ჯგუფები” (მსოფლიო ბანკი, 2018b). სსე უკვე აქტიურად ახორციელებს კოორდინაციას სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, როგორცაა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, დაცული ტერიტორიების სააგენტო, საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, კომუნიკაციების კომისია, საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური, ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტო, საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო, საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები.

წინამდებარე SEP ექვემდებარება გადახედვას და განახლებას. პროექტის ტრანსსასაზღვრო ხასიათის გათვალისწინებით, სხვა შესაბამისი ქვეყნების დაინტერესებული პირები, კერძოდ რუმინეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი, უნგრეთი და ბულგარეთი, პროექტის მომდევნო ეტაპებზე გამოვლინდებიან.

4.3 პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარეები

პროექტის საწყის ეტაპზე მოსალოდნელია სხვადასხვა ზემოქმედება ადგილობრივ გარემოსა და თემებზე, თუმცა, მათზე ტექნიკური კვლევების ზეგავლენა მინიმალური იქნება. პოტენციური ზემოქმედებები შესაძლოა გამოწვეული იყოს:

- ადგილობრივ პორტებზე - ზღვის ფსკერის კვლევამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს ადგილობრივ პორტებზე, პოტენციურად შეცვალოს სანაოსნო მარშრუტები ან მოითხოვოს გემების გასავლელი არხების კორექტირება კვლევითი გემების განსათავსებლად. ამან შეიძლება გამოიწვიოს პორტის საქმიანობისა და გადაზიდვის ოპერაციების დროებითი შეფერხება.
- თევზის მრეწველობაზე და აკვაკულტურის ინდუსტრიაზე - ტექნიკურმა კვლევამ შეიძლება გავლენა იქონიოს თევზის მრეწველობაზე და აკვაკულტურის ინდუსტრიაზე, პოტენციურად დაარღვიოს თევზრეწვის ობიექტების და აკვაკულტურის საქმიანობები. რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს აღნიშნულ დარგებზე დამოკიდებული პირების, როგორცაა მეთევზეები და თევზრეწვით დაკავებული ფერმერები, საარსებო საშუალებებზე.
- სანაპირო თემებზე და მოსახლეობაზე - პროექტმა შეიძლება გამოიწვიოს ზღვისპირა თემებისა და მოსახლეობის ყოველდღიური ცხოვრების დარღვევა. ხმაურის დონის მატებამ, წყლის ხარისხის დროებითმა ცვლილებამ ან სანაპირო ლანდშაფტის ცვლილებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს საკვლევ ტერიტორიის სიახლოვეს მცხოვრები პირების კეთილდღეობაზე და საარსებო საშუალებებზე.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჯამებს პროექტზე ზემოქმედების ქვეშ მყოფი მხარეების ძირითად კატეგორიებს და პროექტში მათი ინტერესის შესაბამის დასაბუთებას.

ცხრილი 4-1 4.3 პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარეები

| პროექტის 1-ელი ფაზის განმავლობაში პოტენციური გავლენის ქვეშ მყოფი მხარეები | პოტენციური გავლენა |
|---|---|
| <ul style="list-style-type: none"> • ადგილობრივი პორტები • თევზის სარეწები და აკვაკულტურის მრეწველობა • სანაპირო საზოგადოება და მოსახლეობა | <ul style="list-style-type: none"> • ზღვის ფსკერის კვლევამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს ადგილობრივ პორტებზე, პოტენციურად შეცვალოს სანავიგაციო მარშრუტები ან მოითხოვოს გადაზიდვის ზოლების კორექტირება კვლევითი გემების განსათავსებლად. ამან შეიძლება გამოიწვიოს პორტის საქმიანობისა და გადაზიდვის ოპერაციების დროებითი შეფერხება პროექტთან დაკავშირებული კონკრეტული შემარბილებელი ღონისძიებების გატარების გამო • ტექნიკურმა კვლევებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს თევზის სარეწებსა და აკვაკულტურის მრეწველობაზე სათევზაო ადგილებისა და აკვაკულტურის საქმიანობის პოტენციური შეფერხებით. ამან შეიძლება გავლენა მოახდინოს ამ ინდუსტრიებზე დამოკიდებულ საარსებო წყაროებზე, როგორებიც არიან მეთევზეები და აკვაკულტურის ფერმერები. • პროექტის პირველმა ეტაპმა შესაძლოა გამოიწვიოს ზღვისპირა თემებისა და მოსახლეობის ყოველდღიური ცხოვრების დარღვევა. ხმაურის დონის მატებამ, წყლის ხარისხის დროებითმა ცვლილებამ ან სანაპირო ლანდშაფტის ცვლილებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს საკვლევ ტერიტორიის სიახლოვეს მცხოვრებთა კეთილდღეობასა და საარსებო წყაროზე. |

განსახლების სამოქმედო გეგმის (RAP)-ის კვლევის დროს, რომელიც არის პროექტის შემდგომი ეტაპი, განხორციელდება დაინტერესებულ პირთა ჩართულობის ინტენსიური ღონისძიებები. ეს მოიცავს კვლევას, აღწერას და ზარალის ინვენტარიზაციას, კონსულტაციას და ინფორმაციის

გამქდავნებას, ასევე კონსულტაციებს ადმინისტრაციულ დაინტერესებულ პირებთან, როგორცაა მიწის რეგისტრაციის ოფისები, შემფასებლები და ა.შ. RAP-ს ძირითადად ამზადებენ ქვე-კონტრაქტით დაქირავებული კონსულტანტები, თუმცა სსე-ს პერსონალს მოეთხოვება RAP-ის მომზადების ზედამხედველობა გარკვეულ ფარგლებში, შესაბამისად შემდეგ სსე იქნება პასუხისმგებელი განხორციელებაზე. მიწის ადრეული რეგისტრაციის პროცედურა იქნება სსე-ს ერთ-ერთი ამოცანა ამ ეტაპზე, რომელიც მოიცავს არსებით კომუნიკაციას და რომელიც მჭიდროდ უნდა იყოს კოორდინირებული RAP-ის მომზადებასთან. განსაკუთრებული აქცენტი გენდერული ფაქტორების გათვალისწინებაზე და მოწყვლად ჯგუფებზე იქნება ჩართულობის ნაწილი, კერძოდ, RAP კვლევაში, მოწყვლად ადამიანებზე ზემოქმედების დადგენის მიზნით, რომლებსაც სჭირდებათ სპეციალური დახმარება მიწის რეგისტრაციის ფორმალობების კუთხით, ან რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ საარსებო საშუალებების აღდგენის კონკრეტული მოთხოვნები.

აღნიშნულმა შესაძლოა ხელი შეუწყოს მოსახლეობასთან ურთიერთობის სპეციალისტების (CLO) დავალებას, რომლებიც პასუხისმგებელი არიან RAP-ის განხორციელებაზე. წარსულში, მოსახლეობასთან ურთიერთობის სპეციალისტებმა შეასრულეს ეს რთული დავალება დიდი პასუხისმგებლობით (დახმარება ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისთვის, განსაკუთრებით ასაკოვანი ადამიანებისთვის და ზოგჯერ გაუნათლებელი პირებისთვის მიწის რეგისტრაციის პროცედურებთან დაკავშირებული ყველა ფორმალობებით).

4.3.1 მუნიციპალიტეტის და სოფლის წარმომადგენლები

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მნიშვნელოვანი მხარეების მესამე კატეგორია იქნება მუნიციპალიტეტის და სოფლის წარმომადგენლები. აღნიშნული თვითმმართველი ერთეული არის თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო, რომელსაც ხელმძღვანელობს მერის წარმომადგენელი. დაინტერესებული პირი არის თვითმმართველობის წარმომადგენელი მუნიციპალურ და სოფლის დონეზე.

4.3.2 სხვა დაინტერესებული მხარეები(OIPs)

ქვემოთ ცხრილში შეჯამებულია სხვა დაინტერესებული მხარეების (OIPs) ძირითადი კატეგორიები და მათი პროექტით დაინტერესების შესაბამისი დასაბუთება..

ცხრილი 4-2. დაინტერესებული მხარეები - გარეშე

| სხვა დაინტერესებული მხარეები | დაინტერესება პროექტით |
|---|--|
| <p>სამინისტროები და სახელმწიფო უწყებები</p> <p>ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო (ყოფილი ეკონომიკის სამინისტრო), ფინანსთა სამინისტრო, რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო</p> <ul style="list-style-type: none"> გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო დაცული ტერიტორიების სააგენტო | <p>საერთო: პროექტის შესაბამისობის უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობასთან (მაგ. ენერგეტიკული პოლიტიკა, ეკოლოგიური შედეგები) მშენებლობის და ექსპლუატაციის დროს</p> <ul style="list-style-type: none"> ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა კონკრეტული ჩართულობა პროექტთან დაკავშირებულ შერბილების ზომებში. საზოგადოების ჩართულობა და ადგილობრივი ქართული EIA სკოპინგის ანგარიშის, გარემოზე ზემოქმედების შეფასების (EIA) ანგარიშის და ეკოლოგიური გადაწყვეტილების გამოქვეყნება პროექტის პირველი ეტაპის ბოლოს პასუხისმგებლობა დაცულ ტერიტორიებზე და შეთავაზებულ |

| სხვა დაინტერესებული მხარეები | დაინტერესება პროექტით |
|--|--|
| <ul style="list-style-type: none"> • • კომუნიკაციების კომისია. • შინაგან საქმეთა სამინისტროს სანაპირო დაცვა • ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტო • ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო • საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო • დაცული ტერიტორიების სააგენტო • გარემოს ეროვნული სააგენტო | <p>დაცულ ტერიტორიებზე, რომელიც შექმნილია ან შეიქმნება პროექტის ფარგლებში, განსაკუთრებით კოლხეთის ეროვნული პარკისა და საზღვაო დაცული ტერიტორიის კონტექსტში.</p> <ul style="list-style-type: none"> • ახალი ინტერნეტ კაბელის ზუსტი განთავსების ადგილის და ზუსტი წერტილების დადგენა, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ორმა ახალმა კაბელმა ხელი არ შეუშალოს ერთმანეთს. <p>ნებისმიერი სანაპირო და წყლების პრობლემის სამართავად</p> <ul style="list-style-type: none"> • აღნიშნული ორი პროექტისთვის განსაზღვრული ადგილების დამთხვევის ან არასასურველი სიახლოვის თავიდან აცილება. • პროექტებით გათვალისწინებული ადგილმდებარეობების დამთხვევის ან არასასურველი სიახლოვის თავიდან აცილება სანაოსნო გზებთან და აკვატორიასთან. • პროექტის კონკრეტული კომპონენტების სიახლოვის გამო კოლხეთის ეროვნულ პარკთან და საზღვაო დაცული ტერიტორიის გადაკვეთის გამო. • აკვაკულტურისთვის გამოყოფილი ადგილების გათვალისწინება და მთლიანი პროექტის ზემოქმედების შემცირება პირველი ეტაპისთვის მიწოდებული ინფორმაციის შედეგად. |
| <p>საერთაშორისო დაინტერესებული პირები:</p> <ul style="list-style-type: none"> • რუმინეთის, აზერბაიჯანის, უნგრეთის, ბულგარეთის, თურქეთის ეროვნული მთავრობები. • ევროკავშირი, სხვა IFIs, ტექნიკური კონსულტანტები. | |
| <p>ადგილობრივი სახელმწიფო დეპარტამენტები, მუნიციპალიტეტები და სოფლები</p> <p>სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონის ზუგდიდის მერია.</p> | <p>მაცხოვრებლების უფლებების დაცვა საპროექტო ტერიტორიაზე .</p> <p>ადგილობრივი თემების / პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარეების წარმოდგენა; მათგან ნებისმიერი ინფორმაციის და საჩივრის მიღება და მათზე რეაგირება</p> |
| <p>არასამთავრობო ორგანიზაციები (ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული)</p> | <p>პროექტის ეკოლოგიური და სოციალური ეფექტურობის უზრუნველყოფა იცავს გარემოს და ზემოქმედების ქვეშ მყოფ მოსახლეობას და აკმაყოფილებს საერთაშორისო E&S სტანდარტებს.</p> |
| <p>ბიზნესის და მუშათა ორგანიზაციები</p> | <p>დაინტერესება შესყიდვების და მიწოდების ჯაჭვით, პოტენციური ზემოქმედებებით ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე, ასევე მოსახლეობის ჯანმრთელობით და უსაფრთხოებით</p> |
| <p>პროექტის სხვა დეველოპერები დამოკიდებული პროექტზე ან პროექტის ფარგლებში (მაგ. დაკავშირებული ობიექტები) და მათი დამფინანსებლები (მაგ. ADB, EBRD, KfW, IFC)</p> | <p>შესაძლოა მოითხოვდეს პროექტის ექსპლუატაციას ელექტროენერჯის ექსპორტის შესაძლებლობის მიზნით.</p> <p>ხელს უწყობს ურთიერთქმედებების და კუმულაციური ზემოქმედებების დადგენას სხვა შეთავაზებულ განვითარებებთან</p> |

| სხვა დაინტერესებული მხარეები | დაინტერესება პროექტით |
|---|---|
| სამეცნიერო დაწესებულებები (მაგ. უნივერსიტეტები, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები, სკოლები). | პოტენციური საკითხები ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შესახებ. პოტენციური საგანმანათლებლო / საინფორმაციო-პროპაგანდული შესაძლებლობები პროექტის შესახებ ინფორმირებულობის ამაღლების და მიღების მიზნით |
| პრესა და მედია | მაცხოვრებლების ინფორმირება საპროექტო ზონაში და ფართო საზოგადოების ინფორმირება პროექტის განხორციელების და დაგეგმილი საქმიანობების შესახებ. |
| ფართო საზოგადოება, ტურისტები, სამუშაოს მაძიებლები | პროექტის როგორც უარყოფითი, ასევე სასარგებლო ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედებით დაინტერესება. |

პროექტით დაინტერესებული შიდა მხარეები არიან: სსე პერსონალი, ზედამხედველობის კონსულტანტები, კონტრაქტორები, ქვე-კონტრაქტორები, მომსახურების პროვაიდერები, მომწოდებლები და მათი მუშახელი.

4.4 დაუცველი / მოწყვლადი ფიზიკური პირები ან ჯგუფები

დაუცველი / მოწყვლადი პირები ან ჯგუფები არიან პოტენციურად დისპროპორციულად ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირები, რომლებიც არ იქნებიან ზემოქმედების ქვეშ I ეტაპზე, თუმცა პოტენციური ზემოქმედება შეფასდება II და III ეტაპზე.

სამეგრელოს რეგიონში სეპარატისტული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან გამოსახლებული იძულებით გადაადგილებულ პირთა (IDPs) კონცენტრაცია საშუალოზე მაღალია. დამატებით საპროექტო ტერიტორიაზე დაუცველი / მოწყვლადი პირების ან ჯგუფების შემადგენლობაში შედიან „ისინი, ვინც ადგილობრივი სოციალური სამსახურების მიერ აღრიცხულია, როგორც ღარიბები; ოჯახები, რომლებსაც უძღვებიან ქალები, ოჯახები, რომლებსაც უძღვებიან მოხუცები (≥ საპენსიო ასაკი) და არ ჰყავთ შემოსავლის შემომტანი სხვა წევრი ოჯახში; და ოჯახები, რომლებსაც უძღვებიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები” (SLR Consulting, 2018: 15).

4.5 დაინტერესებულ პირთა ინტერესების შეჯამება და ზემოქმედება პროექტზე

ქვემოთ ცხრილში შეჯამებულია პროექტით დაინტერესების დონე და პოტენციური ზემოქმედება პროექტზე ზემოთ განსაზღვრული სხვადასხვა კატეგორიის დაინტერესებული პირების მხრიდან. კატეგორიები, რომელიც წარმოდგენილია წითელი ფერის კოდით, მოითხოვს რეგულარულ და ხშირ ჩართულობას, ტიპიურად პირისპირ და რამდენჯერმე წელიწადში, მათ შორის წერილობითი და ზეპირი ინფორმაცია. ნარინჯისფერი კოდით წარმოდგენილი კატეგორიები რეგულარულ ჩართულობას (მაგ. ყოველ ექვს თვეში ერთხელ), ტიპიურად წერილობითი ინფორმაციის მეშვეობით. და ბოლოს მწვანე ფერის კოდით წარმოდგენილი კატეგორიები მოითხოვს არახშირ ჩართულობას (მაგ. წელიწადში ერთხელ), ტიპიურად არაპირდაპირი წერილობითი ინფორმაციის მეშვეობით (მაგ. მასმედია).

ცხრილი 4-3 დაინტერესებულ პირთა ჯგუფების პრიორიტეტიზაცია და ანალიზი, ინტერესის დონის და პროექტზე ზემოქმედების საფუძველზე.

| | პროექტის ზემოქმედების მაღალი შესაძლებლობა ან ალბათობა | პროექტის ზემოქმედების საშუალო შესაძლებლობა ან ალბათობა | პროექტის ზემოქმედების დაბალი შესაძლებლობა ან ალბათობა |
|-------------------------------------|---|--|---|
| პროექტით დაინტერესების მაღალი დონე | <ul style="list-style-type: none"> • ადგილობრივი პორტები. • თევზრეწვის ობიექტები. • ადგილობრივი თემები • ადგილობრივი სამთავრობო დეპარტამენტები • მუნიციპალიტეტები და სოფლები • სსიპ ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტო • ადგილობრივი სამინისტროები და სახელმწიფო უწყებები | | |
| პროექტით დაინტერესების საშუალო დონე | <ul style="list-style-type: none"> • არასამთავრობო ორგანიზაციები • პრესა და მედია | ბიზნესები და მუშათა ორგანიზაციები | <ul style="list-style-type: none"> • სამეცნიერო ინსტიტუტები • ფართო საზოგადოება, ტურისტები, სამუშაოს მაძიებლები |
| პროექტით დაინტერესების დაბალი დონე | | | <ul style="list-style-type: none"> • სხვა პროექტის დეველოპერები და სხვა დამფინანსებლები |

5. დაინტერესებული მხარეების ჩართულობის პროგრამა

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის აქტივობებმა უნდა უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეებისა კონკრეტული ჯგუფებისთვის შესაბამისი ინფორმაციითა და შესაძლებლობებით უზრუნველყოფა, რათა მათ გამოხატონ თავიანთი შეხედულებები მათთვის მნიშვნელოვან თემებზე. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია დაინტერესებული მხარეების ჩართულობის აქტივობები, რომლებიც გათვალისწინებულია პირველ ეტაპზე დაინტერესებულ მხარეთა თითოეული ჯგუფისთვის. სპეციფიური მეთოდები დეტალურად არის ახსნილი მომდევნო ქვეთავებში.

ცხრილი 5-1 სამიზნე დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მეთოდები

| სამიზნე დაინტერესებული მხარეები | ჩართულობის საკითხ(ებ)ი | გამოყენებული მეთოდ(ებ)ი |
|---|--|--|
| პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი მხარეები - ადგილობრივი პორტები, თევზის სარეწები და აკვაკულტურის ინდუსტრია, სანაპირო თემები და მოსახლეობა | ტექნიკური კვლევების დეტალები, მათი განხორციელების ფარგლები და მათი პოტენციური ზეგავლენა; ინფორმაცია პროექტის უფრო ფართო დეტალების შესახებ; საჩივრების მექანიზმის პროცესი | საჯარო შეხვედრები, ტრენინგები/ვორქშოპები, ცალკეული შეხვედრები სპეციალურად ქალებისთვის და დაუცველთათვის; მასობრივი/სოციალური მედია კომუნიკაცია - Facebook, ვებგვერდი; წერილობითი ინფორმაციის გასაჯაროება - ბროშურები, პლაკატები, ფლაერები, ვებგვერდი; საინფორმაციო მაგიდა; საჩივრების მექანიზმი |
| სხვა დაინტერესებული მხარეები (გარე) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, დაცული ტერიტორიების სააგენტო, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, კომუნიკაციების კომისია, საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური, შპს „ანაკლიის საზღვაო ნავსადგური“, საქართველოს ოპერატიულ - ტექნიკური სააგენტო, საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები | პროექტის სპეციფიკა და მისი სამი ეტაპი; პასუხისმგებლობების განაწილება; ვალდებულებების შესრულება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად | პირისპირ შეხვედრები; ერთობლივი საჯარო/მცირე ჯგუფის/ინდივიდუალური შეხვედრები; პროექტის ტურები მედიისთვის/სსო-ებისთვის; საინფორმაციო მაგიდები, საკომუნიკაციო მასალები, ვებგვერდი. |

4.6 დეტალები ჩართულობის მეთოდების შესახებ

დაინტერესებულ პირთა ჩართულობის ღონისძიებები მოითხოვს დაინტერესებულ პირთა კონკრეტულ ჯგუფებს მიეწოდოს შესაბამისი ინფორმაცია და მიეცეს მათთვის მნიშვნელოვან თემებზე მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობები. ქვემოთ მოცემულია პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული დაინტერესებულ პირთა ჩართულობის ღონისძიებები.

4.6.1 საზოგადოების / თემის შეხვედრები

პროექტის დასაწყისში, სსე ორგანიზებას გაუკეთებს შეხვედრებს ანაკლიის დასახლებაში ან მის მახლობლად. ამის შემდეგ საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტ(ებ)ი (CLOs) ხელს შეუწყობს საზოგადოებასთან შეხვედრების / ინფორმირებულობის ამბლებს სესიების ორგანიზებას სოფლებში ყოველკვარტალურად პროექტის პირველი ეტაპის განმავლობაში. ეს შეხვედრები, ასევე, გამოყენებული იქნება მეორე და მესამე ეტაპის შესახებ არსებული ინფორმაციის მოსაწოდებლად.

4.6.2 ვებ-გვერდი

პროგრამის 1-ელი ფაზის ფარგლებში, შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტისთვის შეიქმნება სპეციალური ვებგვერდი, სადაც გამოქვეყნდება პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისა და მოსამზადებელი ტექნიკური კვლევის შედეგები, რაც იქნება ადრეულ ეტაპზე საზოგადოების ინფორმირების და მოქალაქეთა ჩართულობის საუკეთესო საშუალება იქნება. პროექტის ვებ-გვერდის გარდა, პროგრამის ფარგლებში შეიქმნება სხვადასხვა დაინტერესებულ პირთა ჯგუფი, რაც ხელს შეუწყობს უწყვეტ დიალოგს სხვადასხვა დაინტერესებულ პირთა შორის და მხარს დაუჭერს საერთაშორისო კოორდინაციას პროექტზე.

4.6.3 მასობრივი საინფორმაციო საშუალებები /სოციალური მედია საშუალებები

სოციალური მედიის ექსპერტი (სსე საზოგადოების ურთიერთობების დეპარტამენტი ან დამოუკიდებელი კონსულტანტი) ჩაერთვება პროექტში 6 თვე / წელიწადში მოცემული პროექტის შესახებ ინფორმაციის განთავსების მიზნით სსე-ს Facebook გვერდზე, და ადგილობრივ მოსახლეობასთან კომუნიკაციის მიზნით სოციალური მედია კამპანიებით ან ინსტრუმენტებით, როგორცაა WhatsApp პროექტის განხორციელების ციკლში. სოციალური მედია საშუალებები გამოიყენება შესაძლებლობების ფარგლებში ინფორმაციის გასავრცელებლად, რადგან სოციალური მედიის გამოყენების განაკვეთები (კერძოდ Facebook) აღმოჩნდება მაღალი სხვადასხვა ასაკის და მონაცემების მომხმარებლებში პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემებში.

4.6.4 საკომუნიკაციო მასალები

წერილობითი ინფორმაცია გასაჯაროვდება სხვადასხვა საკომუნიკაციო მასალების მეშვეობით, მათ შორის ბროშურებით, ფლაერებით, პოსტერებით და სხვა. საზოგადოებასთან ურთიერთობების პაკეტი დაპროექტდება სპეციალურად და გავრცელდება ნაბეჭდი და ელექტრონული ფორმით. სსე ასევე რეგულარულად განახლებს თავის ვებ-გვერდს (მინიმუმ კვარტალურად) პროექტის შესწორებებით და ანგარიშებით პროექტის ეკოლოგიური და სოციალური ეფექტურობის შესახებ ინგლისურ და ქართულ

ენაზე. ვებ-გვერდზე ასევე წარმოდგენილია ინფორმაცია საჩივრებზე რეაგირების მექანიზმის შესახებ პროექტთან დაკავშირებით (იხილეთ მომდევნო ქვე-ნაწილი).

4.6.5 საჩივრებზე რეაგირების მექანიზმი

მსოფლიო ბანკის ESS10 მოთხოვნის შესაბამისად, პროექტთან დაკავშირებით შეიქმნება საჩივრებზე რეაგირების მექანიზმი. განსაზღვრული საკომუნიკაციო მასალები (GRM ბროშურები, პოსტერები) შეიქმნება ადგილობრივი მოსახლეობისთვის საჩივრებზე რეაგირების საშუალებების და პროცედურების გაცნობის ხელშეწყობის მიზნით. GRM კომიტეტები მუნიციპალურ დონეზე გამოიყენებენ ტრენინგს საჩივრების მიღების, მათზე რეაგირების, დაკმაყოფილების და დახურვის წესის შესახებ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად. GRM შიდა ტრენინგი ასევე ჩატარდება სსე-ს და კონტრაქტორის პერსონალისთვის. სსე-ს ვებ-გვერდი მოიცავს მკაფიო ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება წარდგენილი იქნას საპასუხო ინფორმაცია, შეკითხვები, კომენტარები, საკითხები და საჩივრები დაინტერესებული პირების მიერ და ითვალისწინებს საჩივრების ელექტრონულად წარდგენის შესაძლებლობას. ასევე ინფორმაციას GRM კომიტეტის მუშაობის შესახებ, როგორც პროცესის, ასევე ვადების თვალსაზრისით.

4.6.6 ტურები მედიისთვის, ადგილობრივი წარმომადგენლებისთვის პროექტის ფარგლებში

სამშენებლო ფაზის განმავლობაში შესაბამის ადგილებში მედიაკომპანიებიდან ან ადგილობრივი ორგანოებიდან შერჩეული დაინტერესებული პირებისთვის ორგანიზებული იქნება ვიზიტები ობიექტზე ან სადემონსტრაციო ტურები. საშუალოდ დაგეგმილია 2 ასეთი ტურის მოწყობა წელიწადში.

4.6.7 საინფორმაციო ტაბლოები

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში წამოდგენილი საინფორმაციო ტაბლოები ადგილობრივ მაცხოვრებლებს მიაწოდებს ინფორმაციას დაინტერესებულ პირთა ჩართულობის ღონისძიებების, პროექტის განვითარების მიმდინარეობის, სსე-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტის საკონტაქტო მონაცემების შესახებ. ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მუნიციპალიტეტებში საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტები (CLOs) მოაწყობენ ასეთ საინფორმაციო ტაბლოებს ოფისებში ან სხვა ადგილად მისაწვდომ ადგილებში, სადაც მათ შეეძლება შეკრება და ინფორმაციის გაზიარება პროექტის შესახებ ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მხარეებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან. ბროშურები და ფლაერები პროექტთან დაკავშირებული სხვადასხვა სოციალური და ეკოლოგიური საკითხების შესახებ ხელმისაწვდომი იქნება ასეთ საინფორმაციო ტაბლოებზე.

4.6.8 ტრენინგები, სემინარები

და ბოლოს, სსე-ს და კონტრაქტორის პერსონალს და შესაძლოა სამთავრობო ან არასამთავრობო მომსახურების პროვაიდერებს ჩაუტარდებათ ტრენინგები სოციალური და ეკოლოგიური საკითხების შესახებ. ასეთი საკითხები ასევე მოიცავს გენდერული ძალადობის რისკებს.

4.7. მოწყვლადი ჯგუფის მოსახრებების წარმოდგენის შეთავაზებული სტრატეგია.

პროექტის ფარგლებში მიიღება სპეციალური ზომები იმისათვის, რომ სოციალურად დაუცველ და მოწყვლად ჯგუფებს ჰქონდეთ ინფორმაციაზე წვდომის, საპასუხო კავშირის ან საჩივრების წარდგენის თანაბარი შესაძლებლობები. საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტების (CLOs) განაწილება ხელს შეუწყობს პროაქტიური სოციალურად-ორიენტირებული / მხარდაჭერის პროგრამის უზრუნველყოფას მოსახლეობის ყველა ჯგუფისთვის. ტრენინგი და ინფორმირებულობის ამაღლების სესიები ჩატარდება სოფლებში და არა მუნიციპალურ ცენტრებში სამიზნე მოსახლეობის მაღალი ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით. ასევე გათვალისწინებული იქნება მოწყვლადი ჯგუფებისთვის სპეციალურად გამოყოფილი ფოკუს ჯგუფები.

4.7 ინფორმაციის გამჟღავნება

სსე-ს მოქმედი ვებ-საიტი (<http://www.gse.com.ge/home>) გამოიყენება საპროექტო დოკუმენტების, მათ შორის ეკოლოგიური და სოციალური ეფექტურობის შესახებ ინფორმაციის გამოსაქვეყნებლად როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე. პროექტთან დაკავშირებული ეკოლოგიური და სოციალური მონიტორინგის ყველა შემდგომი ანგარიში, რომლებიც მითითებულია ზემოთ ნაწილებში, გამოქვეყნდება აღნიშნულ ვებ-გვერდზე. სსე-ს ვებ-გვერდზე ასევე განთავსდება პროექტის შესახებ განახლებული ინფორმაციები (მათ შორის ახალი ცნობები სამშენებლო საქმიანობების შესახებ და შესაბამისი მონაცემები ბუნებრივი და სოციალური გარემოს შესახებ); პროექტის ფარგლებში საჩივრების განხილვა - დაკმაყოფილების მექანიზმის დეტალები განთავსდება ვებ-გვერდზე. საჩივრების წარდგენის ელექტრონული ფორმა ასევე ხელმისაწვდომი იქნება სსე-ს ვებ-გვერდზე. გარდა ამისა, სსე შექმნის სპეციალურ Facebook გვერდს პროექტისთვის.

5 დაინტერესებულ პირთა ჩართულობის ფუნქციები, პასუხისმგებლობები და რესურსები

5.1 განხორციელების ზომები

სსე მოახდენს ადამიანური და მატერიალური რესურსების მობილიზებას დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმის განხორციელების და საჩივრების განხილვის და დაკმაყოფილების მექანიზმის (GRM) მართვის მიზნით. დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმით გათვალისწინებულ საქმიანობებს უხელმძღვანელებს სსე-ს E&S. საზოგადოებასთან ურთიერთობის ძირითადი ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედის აღნიშნული დეპარტამენტების პერსონალი, აიღებს პასუხისმგებლობას დაინტერესებულ პირთა ჩართულობის ყველა საკითხზე. ჯგუფს დაეხმარებიან სრულ და ნახევარ განაკვეთზე მომუშავე კონსულტანტები საჭიროების მიხედვით. სსე-ს სათავო ოფისებში 3-4 პერსონალის გარდა, წარმოდგენილი იქნება 1 საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი (CLOs). კომუნიკაციის სპეციალისტი და თანაშემწე საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტიდან შეადგენენ საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფის განუყოფელ

ნაწილს. პროექტის საჩივრების კოორდინატორი ასევე შედის საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფის შემადგენლობაში. . გარემოს და სოციალური სფეროს ექსპერტები პასუხისმგებელი იქნებიან ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებაზე და პროექტის შესრულებაზე.

5.2 ფუნქციები და პასუხისმგებლობები

საზოგადოებასთან ურთიერთობის ძირითადი ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედის სსე-ს პერსონალი ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტიდან და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტიდან, აიღებს პასუხისმგებლობას დაინტერესებულ პირთა ჩართულობის ყველა საკითხზე. თუმცა, დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმაში გათვალისწინებული სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებისთვის, საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს სხვა დაინტერესებულ პირებთან - სხვა სახელმწიფო და ადგილობრივ სამთავრობო დეპარტამენტებთან / უწყებებთან, სსე-ს დეპარტამენტებთან, ზედამხედველობის და ESIA კონსულტანტებთან, კონტრაქტორთან ქვე-კონტრაქტორებთან ერთად. აღნიშნული პირების / დაინტერესებული მხარეების ფუნქციები და პასუხისმგებლობები შეჯამებულია ქვემოთ ცხრილში.

ცხრილი 6-1 მთავარი მოქმედი პირების / დაინტერესებული მხარეების პასუხისმგებლობები დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმის (SEP) განხორციელებაში

| მოქმედი პირი / დაინტერესებული პირი | პასუხისმგებლობები |
|---|--|
| სსე (საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფი, CLOs) | <ul style="list-style-type: none"> დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმის შედგენა და განხორციელება; დაინტერესებულ პირთა ჩართულობის ღონისძიებების ხელმძღვანელობა; საჩივრების მართვა და დაკმაყოფილება; დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმის ღონისძიებებზე კონტრაქტორების კოორდინაცია / ზედამხედველობა; ეკოლოგიური და სოციალური ეფექტურობის მონიტორინგი და ანგარიშგება სსე-ს ხელმძღვანელობის და მსოფლიო ბანკის წინაშე. |
| კონსულტანტები განხორციელების საკითხებში | <ul style="list-style-type: none"> კონტრაქტორის ზედამხედველობა / მონიტორინგი; ჩართულობის ღონისძიებების მართვა სამშენებლო ფაზის განმავლობაში. |
| კონტრაქტორები/ქვე-კონტრაქტორები | <ul style="list-style-type: none"> სსე-ს ინფორმირება დაინტერესებულ პირებთან მათ ჩართულობასთან დაკავშირებული ყველა საკითხის შესახებ; სხვადასხვა გეგმების (მაგ. C-ESMP, შრომის მართვის გეგმა და სხვა) მომზადება, გამოქვეყნება და განხორციელება. |
| ეროვნული სახელმწიფო დეპარტამენტები/უწყებები - ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების | <ul style="list-style-type: none"> პროექტის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის მონიტორინგი; ESMP (გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა) / RPF და SEP (დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმა) გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებაში |

| | |
|--|---|
| <p>სამინისტრო</p> <ul style="list-style-type: none"> • გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, • დაცული ტერიტორიების სააგენტო • საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო | <p>მონაწილეობის მიღება;</p> <ul style="list-style-type: none"> • საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება და საზოგადოების ჩართვა სკოპინგის და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშების (EIA) შესახებ. |
| <p>ზემოქმედების მოქცეული მუნიციპალიტეტები და ადგილობრივი თემები</p> | <ul style="list-style-type: none"> • საჩივრების გადაცემა / წარდგენა სსე-ს GRM კოორდინატორისთვის; • მონაწილეობის მიღება საჩივრების განხილვის და დაკმაყოფილების ადგილობრივ კომიტეტში; • ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ESIA) დოკუმენტების წარდგენა; |
| <p>პროექტის დევლოპერები</p> | <ul style="list-style-type: none"> • სსე-თან თანამშრომლობა პროექტის განხორციელების გეგმასთან დაკავშირებით; • სსე-თვის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ESIA) ინფორმაციის და დოკუმენტაციის გაზიარება კუმულაციური ზემოქმედებების შეფასების მიზნით |

6 საჩივრებზე რეაგირების მექანიზმი

6.1 შესავალი

საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების მექანიზმი (GRM) ითვალისწინებს იმ საჩივრების განხილვას ეფექტური, დროული და ხარჯ-ეფექტური ფორმით, რომელიც წარმოიშობა პროექტის ფარგლებში, სსე-ს ან სსე-ს მიერ დაქირავებული კონტრაქტორის / ქვე-კონტრაქტორების ქმედებების შედეგად, ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობიდან და გარეშე დაინტერესებული მხარეებისგან. სსე პასუხისმგებელია საჩივრებზე რეაგირების მექანიზმის (GRM) მართვაზე. სსე, განხორციელების კონსულტანტის მხარდაჭერით, განხორციელებს საჩივრებზე რეაგირების მექანიზმის (GRM) პროცესის მართვას, და მიიღებს გადაწყვეტილებას თუ ვის ეკისრება პასუხისმგებლობა (მას თუ კონტრაქტორს) და განსაზღვრავს საუკეთესო სამოქმედო გეგმას საჩივრის გადასაწყვეტად. სსე განხორციელების კონსულტანტის მხარდაჭერით ფააკონტროლებს კონტრაქტორს გადაწყდა თუ არა საჩივარი შესაბამისად.

გადამცემი ხაზის პროექტების შესახებ ტიპური საჩივრები ეხება შემდეგს:

- გარემოზე ზემოქმედება;
- არაპირდაპირი სოციალური ზემოქმედებები.

საჩივრების გადაწყვეტის ორ-დონიანი პროცესი მოიცავს შემდეგ მთავარ ეტაპებს:

- (I) საჩივრების მიღება;
- (II) საჩივრების დასაშვებობის შეფასება;
- (III) საჩივრების გადაწყვეტის კომიტეტი (პირველი დონე); და
- (IV) სსე-ს საჩივრებზე რეაგირების კომისია (GRC) (მეორე დონე);
- (V) საჩივრების დახურვა; და
- (VI) საჩივრების ჩანაწერები და დოკუმენტაცია..

ყველა საჩივრის რეგისტრაციას, ანგარიშგებას და მიკვლევადობას განხორციელებს სსე საჩივრების რეესტრში სპეციალური პირის მეშვეობით, რომელიც პასუხისმგებელია საჩივრების მიღება - რეაგირებაზე და რეგისტრაციაზე. საჩივრის რეგისტრაციის შემდეგ განიხილება ის შემთხვევები, რომლებიც საფუძვლად დაედო საჩივრებს, მსგავსი საჩივრების პრევენციის მიზნით (თუ ადგილობრივ თემს აქვს მსგავსი საჩივრები, როგორცაა ელექტრომაგნიტური ველი, ერთეულის ტარიფები და სხვა, ჩატარდება დამატებითი საჯარო საკონსულტაციო შეხვედრები, რელევანტური განმარტებებით). საჩივრების სტატუსის ნომერი და ტენდენციები განიხილება სსე-ს, კონტრაქტორსა და განხორციელების კონსულტანტს შორის E&S შეხვედრებზე სამშენებლო ფაზის განმავლობაში.

საჩივრების გადაწყვეტა არის ორ-ეტაპიანი პროცესი, რომელიც მოიცავს:

ეტაპი 1 – მოიცავს ზემოქმედების ქვეშ მყოფი მხარის საჩივრის (წერილობითი თუ ზეპირი) არაოფიციალურ (ზეპირ) განხილვას. მოცემულ ეტაპზე საჩივარი განიხილება არაოფიციალური (ზეპირი) გზით და შემდეგ კომიტეტი შეადგენს და ხელს მოაწერს ოქმს აღნიშნულ საკითხზე. იმ შემთხვევაში, თუ 1 ეტაპზე პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარის საჩივარი არ გადაწყდება, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მხარეს ეცნობება 2

ეტაპის საჩივრების გადაწყვეტის პროცედურების შესახებ. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მხარეს უფლება აქვს გამოიყენოს 2 ეტაპის პროცედურა 1 ეტაპის პროცედურების გამოყენების გარეშე. 1 ეტაპის საჩივრების გადაწყვეტის ვადა შეადგენს 10 დღეს. საჩივრების გადაწყვეტის კომიტეტი (GRC) შეიკრიბება საჭიროების მიხედვით (თუმცა მინიმუმ თვეში ერთხელ), მის შემადგენლობაში უნდა იყოს რვა წევრი.

ეტაპი 2 – თუ ზემოქმედების ქვეშ მყოფი მხარის საჩივარის არ გადაწყდება 1-ელ ეტაპზე ადგილობრივი კომიტეტის მიერ, საჩივარი წარედგინება საჩივრებზე რეაგირების კომისიას (GRC), საჩივრებზე რეაგირების კომისია განიხილავს ზემოქმედების ქვეშ მყოფი მხარის წერილობით საჩივრებს, რომლებიც არ დაკმაყოფილდა 1-ელ ეტაპზე.

1 ეტაპის საჩივრების დაკმაყოფილების პროცედურა არის დავის გადაწყვეტის არაოფიციალური მექანიზმი, რომელიც საშუალებას მისცემს ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებს და პროექტის განხორციელების ჯგუფს გადაწყვიტონ დავა ოფიციალური პროცედურების, გადადების და დაბრკოლებების გარეშე. მსგავსი პროექტებში არსებული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ასეთი საჩივრების არაოფიციალური განხილვის მექანიზმი ხელს უწყობს საჩივრების უმეტესი ნაწილის გადაწყვეტას ფორმალური პროცედურების გარეშე (ე.ი. ადმინისტრაციულ კოდექსში განსაზღვრული პროცედურების ან სასამართლო პროცესის გამოყენების გარეშე). ეს მექანიზმი იძლევა პროექტის შეუფერხებლად განხორციელების და საჩივრების დროულად დაკმაყოფილების შესაძლებლობას. იმ შემთხვევაში, თუ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარე არ დაკმაყოფილდება, საჩივრებზე რეაგირების მექანიზმი დაეხმარება მას წარადგინოს ოფიციალური საჩივარი 2 ეტაპის პროცედურების შესაბამისად (მომჩივანი ინფორმირებული უნდა იყოს თავისი უფლებების და ვალდებულებების, წესების და პროცედურების შესახებ საჩივრების წარდგენასთან დაკავშირებით, ასევე საჩივრის ფორმატის, საჩივრის წარდგენის პირობების და სხვა საკითხების შესახებ და სხვ.).

შესაბამისი დოკუმენტის მომზადების ეტაპზე, საკონსულტაციო შეხვედრების და მოლაპარაკებების დროს, ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარე ინფორმირებული უნდა იყოს საჩივრებზე რეაგირების მექანიზმის, მისი ფუნქციების, პროცედურების, საკონტაქტო პირების და საჩივრების შედგენის წესების შესახებ, ზეპირი ინფორმაციით ან ბუკლეტების მეშვეობით. ყოველთვის მიიღება ზომები, რომელიც ითვალისწინებს საჩივრების პრევენციას, და არა მე-2 ეტაპის გავლას. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების აქტიური მონაწილეობით, ეფექტური კონსულტაციებით, სათანადო კომუნიკაციითა და კოორდინაციით ადგილობრივ თემებს, სსე-ს და ადგილობრივ ორგანოებს შორის..

დონე 1: საჩივრების გადაწყვეტის კომიტეტი

ადგილობრივი საჩივრების გადაწყვეტის კომიტეტი (GRC) შეიქმნება მუნიციპალიტეტში, და მისი ოფისი განთავსდება მუნიციპალიტეტის შენობაში. საჩივრის წარდგენის შემდეგ, მოწვეული იქნება შესაბამისი ადგილობრივი GRC საჩივრის გადაწყვეტისთვის გადაწყვეტილების მიღების მიზნით. თითოეული ასეთი კომიტეტის შემადგენლობა აღწერილია ქვემოთ. სპეციალური დებულებები შემუშავდება ნებისმიერ კონფიდენციალური ბუნების საჩივრებთან დაკავშირებით.

ადგილობრივი საჩივრების გადაწყვეტის კომიტეტის შემადგენლობა

- 1) საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის (სსე) წარმომადგენელი, როგორც კომიტეტის კოორდინატორი;
- 2) რეგიონული/მუნიციპალური წარმომადგენელი, როგორც კომიტეტის წევრი.
- 3) პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობის (PAP) წარმომადგენელი, როგორც კომიტეტის წევრი;
- 4) ქალები – პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შინამეურნეობების (PAH) წარმომადგენელი, როგორც კომიტეტის წევრი;
- 5) ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის (NGO) წარმომადგენელი, საჩივრის ხასიათის გათვალისწინებით – როგორც კომიტეტის წევრი;
- 6) ზედამხედველობის საკითხების კონსულტანტიდან სოციალური და გარემოს დაცვის ადგილობრივი სპეციალისტი – როგორც კომიტეტის წევრი;
- 7) სამშენებლო კომპანიიდან სოციალური და გარემოს დაცვის ადგილობრივი სპეციალისტი – როგორც კომიტეტის წევრი.

სსე-ს სოციალური საკითხების განყოფილების ხელმძღვანელი იმოქმედებს საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტის (GRC) მდივნის უფლებამოსილებით (შექმნა, კოორდინაცია და დოკუმენტაცია). საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტის (GRC) წევრები მოწვეულნი იქნებიან განსახილველი საჩივრების სახეების მიხედვით. კრება დაიწყება ყველა მიღებული ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარის საჩივრის განხილვით, იმისათვის, რომ გასული ერთი ან ორი კვირის განმავლობაში წარმოდგენილი იქნას გადაწყვეტილება ყველა საჩივარზე. შემდეგ საჩივრების დაკმაყოფილების კომისია მოიწვევს იმ მომჩივნებს, რომელთა საჩივრები იქნა განხილული წინა შეკრებაზე, შეთავაზებული გადაწყვეტილების განხილვის მიზნით.

თითოეული საჩივრისთვის, საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტი (GRC) განსაზღვრავს საჭიროა თუ არა დამატებითი კვლევები. საჭიროების შემთხვევაში, შეგროვდება დამატებითი ინფორმაცია საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტის (GRC) მომდევნო შეკრებამდე და ასევე წარედგინება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მხარეს (PAP) კრების ჩატარებამდე. საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტი (GRC) შეატყობინებს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მხარეს (PAP) განხილვის თარიღს, დროს და ადგილს და შესაბამისად მოიწვევს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მხარეს (PAP)..

საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტი (GRC) მიიღებს მომჩივანს და მასთან ერთად განიხილავს საჩივრის გადაწყვეტის საკითხს. კომიტეტმა უნდა შეადგინოს აღნიშნულ საკითხზე მათი განხილვის ოქმი და ხელი მოაწეროს მას. თუ საჩივარი დამაკმაყოფილებლად გადაწყდება აღნიშნულ ოქმს ასევე ხელს მოაწერს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარე (PAP) შეთანხმების დასტურად. იმ შემთხვევაში, თუ პროექტის ფარგლებში შეთანხმდება დამატებითი ზომების გამოყენების საკითხი, ეს საკითხი მიეთითება კრების ოქმებში წარდგენის ვადასთან ერთად.

დონე 2: საჩივრის გადაწყვეტა ცენტრალურ დონეზე სსე-ს ფარგლებში

იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებული პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარე არ დაკმაყოფილდება საჩივრებზე რეაგირების კომიტეტის (GRC) გადაწყვეტილებით, მომდევნო ეტაპი იქნება საჩივრის წარდგენა სსე-ს ცენტრალურ დონეზე. საჩივრებზე რეაგირების

კომიტეტი (GRC) დაეხმარება მას ოფიციალური საჩივრის წარდგენაში. სსე შემდეგ განიხილავს საჩივარს საჩივრების გადაწყვეტის კომიტეტთან. მომჩივანს წერილობითი ფორმით უნდა ეცნობოს გადაწყვეტილება მაქსიმუმ 30 დღის განმავლობაში.

მომჩივანს წერილობითი ფორმით უნდა ეცნობოს სსე-ს გადაწყვეტილება. თუ სსეს გადაწყვეტილება არ დააკმაყოფილებს ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებს, მათ შეუძლიათ, წარადგინონ საქმე შესაბამის სასამართლოში.

6.1.1 საჩივრების დახურვა

საჩივარი „გადაწყვეტილად“ ან „დახურულად“ ჩაითვლება, როდესაც მიიღება ორივე მხარისთვის დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილება, და წარმატებით განხორციელდება გამოსწორების ზომები. როდესაც პროექტსა და მომჩივანს შორის შეთანხმებულ იქნება საჩივრის გადაწყვეტის შეთავაზებული გადაწყვეტილება, მისი განხორციელებისთვის საჭირო დრო დამოკიდებული იქნება გადაწყვეტილების სირთულეზე. თუმცა აღნიშნული გადაწყვეტილების შესასრულებლად ზომები მიღებულ იქნება მინიმუმ ერთი თვის განმავლობაში საჩივრის წარდგენიდან და კონტროლი გაგრძელდება დასრულებამდე. გადაწყვეტილების შესრულების ან მომჩივანისთვის დამაკმაყოფილებლად შესრულების შემდეგ, საჩივრის დახურვის ფორმას ხელს მოაწერს ორივე მხარე (სსე-ს გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მენეჯერი და მომჩივანი), სადაც მიეთითება, რომ მომჩივანი თავის საჩივარს დახურულად თვლის. საჩივარი შეინახება პროექტის საჩივრების მონაცემთა ბაზის არქივში.

თუმცა, კონკრეტულ სიტუაციებში, საპროექტო კომპანიას შეუძლია „დახუროს“ საჩივარი იმ შემთხვევაშიც, თუ მომჩივანი არ იქნება კმაყოფილი შედეგით. მაგალითად, თუ მომჩივანი ვერ შეძლებს საჩივრის დასაბუთებას, ან ადგილი აქვს აშკარა სპეკულაციურ ან თაღლითურ მცდელობას. ასეთ სიტუაციებში პროექტის ფარგლებში საჩივრის გამოძიების და დასკვნის გამოტანის ძალისხმევები სათანადოდ უნდა იყოს დოკუმენტირებული და მომჩივანი ინფორმირებული არსებული მდგომარეობის შესახებ. სსე-მ უარი არ უნდა განაცხადოს საჩივრებზე ზედაპირული განხილვის საფუძველზე და არ უნდა დახუროს ისინი საჩივრების ჟურნალში, სანამ მომჩივანი ინფორმირებული არ იქნება და არ მიეცემა დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოდგენის შესაძლებლობა.

6.1.2 საჩივრების ჩანაწერები და დოკუმენტაცია

სსე-ს საჩივრებზე რეაგირების სპეციალისტი მართავს საჩივრების მონაცემთა ბაზას ყველა აღრიცხული საჩივრის წერილობითი ჩანაწერის წარმოების მიზნით. მონაცემთა ბაზაში მიეთითება იმ ფიზიკური პირის ან ორგანიზაციის სახელი, რომელიც დაარეგისტრირებს საჩივარს; საჩივრის წარდგენის თარიღი და ტიპი; ნებისმიერი შემდგომ მიღებული ზომა; გადაწყვეტილებები და გამოსწორების ზომები, რომელიც მიიღო კონტრაქტორმა ან სხვა შესაბამისმა მხარემ; საბოლოო შედეგი; და მომჩივანისთვის გადაწყვეტილების შეტყობინების ფორმა და დრო.

ზედამხედველობის კომპანიები წარმოადგენენ ინფორმაციას საჩივრების მართვის შესახებ. საჩივრების მონიტორინგი და ანგარიშგება განხორციელდება ექვს-თვიან და წლიურ საჯარო ანგარიშებში.

კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო პირი პროექტის ფარგლებში საჩივრების მართვასთან და ადგილობრივ დაინტერესებულ პირთა ჩართულობის საქმიანობებთან დაკავშირებით არის სსე-ს გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მენეჯერი:

| აღწერილობა | საკონტაქტო მონაცემები |
|-------------|--|
| კომპანია: | საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა (სსე) |
| ვის: | სსე გენერალური დირექტორი |
| მისამართი: | 2 ბარათაშვილის ქუჩა, თბილისი 0105, საქართველო |
| ელ-ფოსტა: | info@gse.com.ge |
| ვებ-გვერდი: | www.gse.com.ge |
| ტელეფონი: | +995 555 111 144 |

ინფორმაცია პროექტისა და მომავალი ჩართულობის პროგრამების შესახებ გამოქვეყნდება სსე-ს ვებ-გვერდზე და განთავსდება საინფორმაციო დაფებზე საპროექტო ტერიტორიის მთავარ სოფლებში. ინფორმაციის მიღება ასევე შესაძლებელია საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტებისგან.

მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული წინა პროექტების პრაქტიკის მეშვეობით, სსე-მ უკვე შეიმუშავა პროტოკოლი კონფიდენციალური გადარჩენაზე-ორიენტირებული მიდგომისთვის პროექტში დასაქმებული პერსონალის სენსიტიური საჩივრების განსახილველად, მათ შორის გენდერულ ძალადობასთან, სექსუალურ ექსპლუატაციასთან, შეურაცხყოფასა ან შევიწროებასთან. პროტოკოლი იძლევა მითითებებს ისეთი საჩივრების განხილვის შესახებ, როგორცაა მომჩივნის კონფიდენციალურობის დაცვა, მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოთხოვნა, მომჩივანის ინფორმირება არჩევანის შესახებ საჩივრის სხვა დაწესებულებებში დარეგისტრირებაზე, მომჩივნის გადაუდებელ სამედიცინო დახმარებაზე ან სხვა შესაბამის სამსახურში გადამისამართების შესახებ და სხვა. ამ მიზნით სსე-ს უკვე ურთიერთობს სახელმწიფო სამსახურთან, ATIP ფონდთან, რომელიც დახმარებას უწევს და თავშესაფარს სთავაზობს GBV შემთხვევების დროს. პროექტის ყველა თანამშრომელი და ადგილობრივი საზოგადოება გაივლის ცნობიერების ამაღლების ტრენინგს GBV-ს მიმართ სენსიბილიზებული საჩივრების მექანიზმის ხელმისაწვდომობის შესახებ. საჩივრების ფოკუს ჯგუფები გაივლიან სიღრმისეულ ტრენინგს სენსიტიური საჩივრებისთვის პროტოკოლის გამოყენების შესახებ.

6.2 თანამშრომლების საჩივრების წარდგენის და განხილვის მექანიზმი

სსე-ს ადამიანური რესურსების დეპარტამენტი შეიმუშავებს და დანერგავს საჩივრების წარდგენის და განხილვის მექანიზმს სსე-ს თანამშრომლებისთვის სამუშაო ადგილზე პრობლემების მოგვარების მიზნით. ეს რეგულაცია უზრუნველყოფს, რომ სსე-ს ყველა

თანამშრომელს ჰქონდეს თანაბარი და თანასწორი შესაძლებლობა, თავიანთი უკმაყოფილება გამოხატონ ოფიციალური საჩივრის წარდგენით. ეს დებულება მოიცავს საკითხების ფართო სპექტრს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს უკმაყოფილება, მათ შორის საკითხებს სამუშაო პირობების, ჯანმრთელობისა და პირადი უსაფრთხოების, ბუღინგის შემთხვევების, შევიწროების, საერთო სამუშაო გარემოს, ორგანიზაციული ცვლილებების, დისკრიმინაციის და დაკავშირებული პრობლემების შესახებ. თანამშრომლებს უფლება აქვთ გაასაჩივრონ კომიტეტის გადაწყვეტილება თავდაპირველი მიღებიდან ხუთი დღის ვადაში.

საჩივრის წარდგენისას თანამშრომლებმა საჩივარი უნდა განათავსონ სსე-ს მიერ განსაზღვრულ საჩივრების ყუთში ან გააგზავნონ ელექტრონული ფოსტის მისამართზე: hr.grievance@gse.com.ge. ადამიანური რესურსების და კომუნიკაციების დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი პასუხისმგებელია საჩივრების საფოსტო ყუთის ყოველდღიურ მონიტორინგზე, მიღებული კორესპონდენციის ოპერატიულად მიწოდების უზრუნველყოფაზე კომიტეტის მდივნისთვის.

საჩივრის განხილვის საწყისი ეტაპის მართვისთვის იქმნება სპეციალური მუდმივმოქმედი კომიტეტი, რომლის შემადგენლობას ამტკიცებს მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე/რეაბილიტაციის მენეჯერი. სსე-ს მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე/რეაბილიტაციის მენეჯერი წარმოადგენს საბოლოო გადაწყვეტილების მიმღებ პირს, საჩივრების განხილველი კომიტეტის ან/და გასაჩივრების / სააპელაციო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების დასამტკიცებლად.

თანამშრომელთა საჩივრების მექანიზმი მოიცავს პროცედურებს, რომლებიც ითვალისწინებს საჩივრების მიღებას, როგორცაა კომენტარის/საჩივრის ფორმა, წინადადებების ყუთები, ელ-ფოსტა, სატელეფონო ცხელი ხაზი:

- საჩივრებზე რეაგირების დადგენილი ვადები;
- რეესტრი საჩივრების დროულად გადაწყვეტის აღრიცხვის და მეთვალყურეობის მიზნით.
- პასუხისმგებელი დეპარტამენტი საჩივრების გადაწყვეტილების მიღების, აღრიცხვის და მეთვალყურეობის მიზნით.

ზედამხედველი კონსულტანტი განახორციელებს კონტრაქტორის მიერ საჩივრების ჩანაწერების წარმოების და გადაწყვეტის მონიტორინგს და წარუდგენს სსე-ს სამუშაოების მიმდინარეობის ყოველთვიურ ანგარიშებში. ამ პროცესის მონიტორინგს განახორციელებს GRM კოორდინატორი, სსე-ს წარმომადგენელი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება პროექტის საჩივრების წარდგენის და განხილვის მექანიზმზე.

თანამშრომლების საჩივრების წარდგენის და განხილვის მექანიზმი აღწერილი იქნება პერსონალის საწყის ტრენინგში, რომელიც ჩაუტარდება ყველა მომუშავეს პროექტის ფარგლებში. ეს მექანიზმი ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- პროცესი იქნება გამჭვირვალე და მომუშავეებს საშუალებას მისცემს გამოხატონ თავიანთი პრობლემები და წარადგინონ საჩივრები.
- საჩივრის წარმომდგენის მიმართ არ იქნება არავითარი დისკრიმინაცია და ყველა საჩივარი კონფიდენციალურად განიხილება.
- ანონიმური საჩივრები განიხილება ისევე, როგორც ის საჩივრები, რომელთა წარმოშობა ცნობილია.

- ხელმძღვანელობა საჩივრებს განიხილავს ყურადღებით და შესაბამისად და დროულად მოახდენს მათზე რეაგირებას.

საჩივრების წარდგენის და განხილვის მექანიზმის არსებობის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება პროექტის ყველა მომუშავესათვის (პირდაპირი და კონტრაქტით დაქირავებულისთვის) განცხადებების დაფის, „წინადადების/საჩივრების ყუთის“ და სხვა საშუალებების ხელმისაწვდომობით.

6.3 სსე-ს საკონტაქტო მონაცემები

საკონტაქტო პირი პროექტის ფარგლებში საჩივრების მართვასთან და ადგილობრივ დაინტერესებულ პირთა ჩართულობის საქმიანობებთან დაკავშირებით არის სსე-ს ნებართვების გაცემის დეპარტამენტის ხელმძღვანელი:

| აღწერილობა | საკონტაქტო მონაცემები |
|-------------|--|
| კომპანია: | საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა (სსე) |
| ვის: | სსე ნებართვების დეპარტამენტის ხელმძღვანელი |
| მისამართი: | საქართველო, თბილისი 0105, ბარათაშვილის ქუჩა 2 |
| ელ-ფოსტა: | Hr.grievance@gse.com.ge |
| ვებ-გვერდი: | www.gse.com.ge |
| ტელეფონი: | TBA |

ინფორმაცია პროექტის და დაინტერესებულ პირთა ჩართულობის მომავალი პროგრამების შესახებ ხელმისაწვდომი იქნება პროექტის ვებ-გვერდზე და განთავსდება საინფორმაციო დაფებზე ზემოქმედების ქვეშ მყოფ სოფლებში საპროექტო ზონაში. ინფორმაციის მოპოვება ასევე შესაძლებელია საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტებისგან.

ექსტრენი E&S ანგარიშები, სადაც დოკუმენტურად არის დამოწმებული დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმის (SEP) განხორციელება, გამოქვეყნდება პროექტის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომი იქნება ადგილობრივ მუნიციპალიტეტის შენობებში.

გარდა ამისა, ადგილობრივი და საერთაშორისო დაინტერესებული პირების შესახებ ინფორმაციისთვის და პროექტის ეკოლოგიური და სოციალური ეფექტურობის შესახებ ინფორმაციისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციები, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტები (CSOs) და მედია მიწვეულნი არიან სსე-ს კომუნიკაციების განყოფილების ხელმძღვანელთან თბილისში:

| აღწერილობა | საკონტაქტო მონაცემები |
|------------|--|
| კომპანია: | საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა (სსე) |
| ვის: | სსე-ს კომუნიკაციების განყოფილების ხელმძღვანელი |
| მისამართი: | საქართველო, თბილისი 0105, ბარათაშვილის ქუჩა 2 |
| ელ-ფოსტა: | info@gse.com.ge |

| | |
|-------------|--|
| აღწერილობა | Contact details |
| ვებ-გვერდი: | www.gse.com.ge |
| ტელეფონი: | TBA |

7 მონიტორინგის და ანგარიშგება

7.1 დაინტერესებული მხარეების ჩართვა მონიტორინგის საქმიანობაში

მონიტორინგის ანგარიშები, რომელშიც დოკუმენტურად არის დამოწმებული პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური ეფექტურობის მაჩვენებლები, მათ შორის პრიველი ეტაპის, უნდა მოამზადოს საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფმა სსე-ს ხელმძღვანელობისთვის და მსოფლიო ბანკისთვის წარსადგენად. მონიტორინგის ანგარიშები ასევე უნდა მოიცავდეს ნაწილს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის და საჩივრების განხილვის მექანიზმის შესახებ. ქვემოთ ცხრილში 9 წარმოდგენილია მოცემულ ეტაპზე დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმის (SEP) შესრულებასთან დაკავშირებული მაჩვენებლების სრული პაკეტი.

ცხრილი 8-1 SEP მაჩვენებლები, რომლებიც დოკუმენტურად უნდა დამოწმდეს სამუშაოების მიმდინარეობის ანგარიშებში

| |
|--|
| პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარეების ჩართულობა |
| პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მხარეებთან (PAPs) ოფიციალური შეხვედრების რაოდენობა და ჩატარების ადგილი |
| პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მხარეებთან (PAPs) არაოფიციალური შეხვედრების რაოდენობა და ჩატარების ადგილი |
| მოსახლეობის ინფორმირებულობის ამალღების ან ტრენინგის ფარგლებში შეხვედრების რაოდენობა და ჩატარების ადგილი |
| თითოეულ ზემოთ მითითებულ შეხვედრაზე დამსწრე ქალთა და მამაკაცთა რაოდენობა. |
| მუნიციპალიტეტებთან და მოსახლეობასთან/თემებთან ან სხვა დაინტერესებულ პირებთან ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა, ადგილი, დასწრება და დოკუმენტაცია |
| თითოეულ კრებასთან დაკავშირებით, მიღებული კომენტარების რაოდენობა და ბუნება, აღნიშნული შეხვედრების დროს შეთანხმებული მოქმედებები, ასეთი ქმედებების სტატუსი და კომენტარების შეტანის წესი პროექტის ESMP-ში.. |
| ოფიციალური შეხვედრების ოქმები და არაოფიციალური შეხვედრების შემაჯამებელი ჩანაწერი დაერთვება აღნიშნულ ანგარიშს. მათში შეჯამდება დამსწრე პირთა მოსაზრებები და მამაკაცებისა და ქალების მიერ გამოთქმულ კომენტარებს შორის განსხვავებული ხედვები. |
| სხვა დაინტერესებულ პირთა ჩართულობა |

| |
|---|
| სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ჩართულობის ღონისძიებების რაოდენობა და ხასიათი, დაყოფილი დაინტერესებულ მხარეთა კატეგორიების მიხედვით (სამთავრობო უწყებები, მუნიციპალიტეტები, არასამთავრობო ორგანიზაციები) |
| არასამთავრობო ორგანიზაციების და სხვა დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილი საკითხები, მათთან შეთანხმებული მოქმედებები და ასეთი ქმედებების სტატუსი. |
| საჩივრებზე რეაგირების მექანიზმი |
| მიღებული საჩივრების რაოდენობა, მთლიანობაში და ადგილობრივ დონეზე, თბილისის სათავო ოფისებში, ვებ-გვერდზე, დაყოფილი მომჩივანის სქესის მათი მიღების საშუალებების (ტელეფონი, ელ-ფოსტა, განხილვა) მიხედვით. |
| ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობიდან, გარეშე დაინტერესებული პირებიდან მიღებული საჩივრების რაოდენობა |
| საჩივრების რაოდენობა, რომელიც (i) გახსნილია, (ii) გახსნილია 30 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში, (iii) გადაწყვეტილია, (iv) დახურულია, და (v) პასუხების რაოდენობა, რომელმაც დააკმაყოფილა მომჩივნები, ანგარიშგების პერიოდში, დაყოფილია მომჩივანის საჩივრის, სქესის, ასაკის და ადგილმდებარეობის მიხედვით |
| საჩივრების გადაწყვეტის პროცესის საშუალო ვადა, დაყოფილი მომჩივნების სქესის და საჩივრების კატეგორიების მიხედვით. |
| დროის ტენდენციები და საჩივრების რაოდენობის, კატეგორიების და ადგილმდებარეობის შედარება წინა ანგარიშგების პერიოდებთან |
| თანამშრომლების საჩივრები |
| თანამშრომლების მიერ წარდგენილი საჩივრების რაოდენობა, დაყოფილი თანამშრომლების სქესის და სამუშაო ადგილის მიხედვით. |
| თანამშრომლების საჩივრების რაოდენობა, რომლებიც (i) გახსნილია, (ii) გახსნილია 30 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში, (iii) გადაწყვეტილია, (iv) დახურულია, და (v) პასუხების რაოდენობა, რომელმაც დააკმაყოფილა მუშახელი, ანგარიშგების პერიოდში, დაყოფილია მომუშავეების საჩივრის, სქესის, ასაკის და სამუშაო ადგილის მიხედვით... |
| მათი პროფილი, ვინც წარადგინა საჩივარი (სქესი, ასაკი, სამუშაო ადგილი), საჩივრების კატეგორიის მიხედვით. |
| საჩივრების გადაწყვეტის პროცესის საშუალო ვადა, დაყოფილი მომჩივნების სქესის და საჩივრების კატეგორიების მიხედვით. |
| დროის ტენდენციები და საჩივრების რაოდენობის, კატეგორიების და ადგილმდებარეობის შედარება წინა ანგარიშგების პერიოდებთან |

7.1.1 სსე-ს კვარტალური და წლიური ანგარიშები

პროექტის პირველი ეტაპის განმავლობაში, საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფი მოამზადებს მოკლე ყოველთვიურ ანგარიშებს E&S ეფექტურობის შესახებ სსე-ს ხელმძღვანელობისთვის, რომელიც მოიცავს შესწორებას დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმის განხორციელების შესახებ და მაჩვენებლებს 9 ცხრილში. ყოველთვიური ანგარიშები გამოიყენება კვარტალური და წლიური ანგარიშების შემუშავებისთვის, რომელიც განხილულია სსე-ს უფროსი ხელმძღვანელობის მიერ. კვარტალური და წლიური ანგარიშები გამოქვეყნდება პროექტის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომი იქნება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ შენობებში.

7.1.2 ექსტენიანი E&S შესაბამისობის ანგარიშები მსოფლიო ბანკისთვის

ექსტენიანი E&S ანგარიშები მომზადდება და წარედგინება მსოფლიო ბანკს პირველი ეტაპის განმავლობაში. ნაწილი დაინტერესებულ პირთა ჩართულობის შესახებ შეტანილი იქნება აღნიშნულ ანგარიშებში, რომელიც მოიცავს შესწორებას დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმის განხორციელების შესახებ და მაჩვენებლებს 9 ცხრილში.

7.2 დაინტერესებულ პირთა ჩართვა მონიტორინგის ღონისძიებებში

პროექტი ითვალისწინებს რამდენიმე შესაძლებლობას დაინტერესებული პირებისთვის, კერძოდ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარეებისთვის - განახორციელონ პროექტის შესრულების ეფექტურობის კონკრეტული ასპექტების მონიტორინგი და წარმოადგინონ საპასუხო კომენტარები. საჩივრების გადაწყვეტის კომიტეტები შესაძლებლობას მისცემენ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მხარეებს წარადგინონ საჩივრები და სხვა ტიპის საპასუხო ინფორმაცია. გარდა ამისა ხშირი და რეგულარული შეხვედრები მოსახლეობასთან და ურთიერთქმედება სსე-ს პერსონალთან, კერძოდ საზოგადოებასთან ურთიერთობის ადგილობრივ სპეციალისტებთან (CLOs) პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მხარეებს და სხვა ადგილობრივ დაინტერესებულ პირებს აძლევს ჩართულობის და მათი მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობას.

7.3 ანგარიშგება დაინტერესებულ პირთა ჯგუფების მიმართ

სსე-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფი და მისი სპეციალისტები, ანგარიშს წარუდგენენ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მხარეებს და სხვა ადგილობრივ დაინტერესებულ პირთა ჯგუფს, ძირითადად საჯარო შეხვედრების მეშვეობით პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მუნიციპალიტეტებში ან/და სოფლებში. GRM მეშვეობით მიღებულ კომენტარებზე / გამოხმაურებებზე პასუხი გაიცემა წერილობითი და ზეპირი ფორმით, შესაძლებლობის ფარგლებში. მოკლე ტექსტური შეტყობინებები და სატელეფონო ზარები გამოიყენება იმ დაინტერესებული პირებისთვის პასუხის გასაცემად, რომელთა ტელეფონის ნომრებიც ხელმისაწვდომია. პროექტის მთავარი შესწორებები განთავსდება სსე-ს ვებ-გვერდზე. სოციალური მედია (ძირითადად პროექტის Facebook გვერდის და WhatsApp ჯგუფის მეშვეობით პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარეებისთვის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის) ასევე გამოიყენება სხვადასხვა დაინტერესებული პირების მიმართ ანგარიშგებისთვის.

8. მიახლოებითი ბიუჯეტი

სავარაუდო ბიუჯეტი დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის განსახორციელებლად 24 თვის განმავლობაში (ორი წლის განმავლობაში) თან ერთვის SEP-ს. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჯამებს ყველა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის აქტივობას უკეთესი კოორდინაციისა და მონიტორინგისთვის. სსე განიხილავს ამ გეგმას ყოველ ექვს თვეში ერთხელ, რათა დაადგინოს, საჭიროა თუ არა რაიმე ცვლილება დაინტერესებულ მხარეთა კლასიფიკაციაში ან ჩართულობაში. თუ ასეა, გეგმა განახლდება და გამოქვეყნდება ახალი გამოცემა. ბიუჯეტიც, შესაბამისად, გადაიხედება.

| დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმა - შეფასებული ბიუჯეტი (4 წელი) | | | | | |
|---|-----------|----------------------------|----------------|--------------------------|---|
| დაინტერესებულ პირთა ჩართულობის ღონისძიებები | რაოდენობა | ერთეულის ფასი (აშშ დოლარი) | დროები / წლები | ჯამური ფასი (აშშ დოლარი) | შენიშვნები |
| პერსონალის ხელფასი | 1 | 6000 | 4 | 24000 | |
| სოციალური მედიის პერსონალი/კონსულტანტი (6 თვე/ წელი @\$1000 თვეში) | 1 | 6000 | 4 | 24000 | |
| პერსონალის სამგზავრო ხარჯი (წელიწადში) | | 2000 | 4 | 8000 | |
| საინფორმაციო ტაბლოები | 4 | 200 | 1 | 800 | |
| პროექტის საპრეზენტაციო შეხვედრები | 4 | 2500 | 1 | 10000 | ფართის იჯარა, კვება, ნაბეჭდი მასალები, |
| თემთან შეხვედრების / ინფორმირებულობის ამაღლება (კვარტალურად) | 16 | 100 | 4 | 6400 | |
| მუნიციპალიტეტთან შეხვედრები /ინფორმირებულობის ამაღლება (ყოველთვიურად) | 12 | 100 | 4 | 4800 | |
| საკომუნიკაციო მასალები (ბროშურები, პოსტერები, PR კომპლექტები-მათ შორის პროექტი) | | | | 1000 | 10 სხვადასხვა თემა - GBV, EMF, მოსახლეობის ჯანმრთელობა / უსაფრთხოება, მუშახელის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, გარემო, მიწის ჩამორთმევა, კონტრაქტორის ზიანი და სხვა. |
| პროექტის ფარგლებში ტურები მედიის, ადგილობრივი წარმომადგენლებისთვის (1 წელიწადში), არასამთავრობო ორგანიზაციები | 1 | 1000 | 2 | 2000 | მაქსიმუმ 11 წარმომადგენელი თითოეულ ტურში |

| დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმა - შეფასებული ბიუჯეტი (4 წელი) | | | | | |
|--|------------------|-----------------------------------|-----------------------|---------------------------------|-------------------|
| დაინტერესებულ პირთა ჩართულობის ღონისძიებები | რაოდენობა | ერთეულის ფასი (აშშ დოლარი) | დროები / წლები | ჯამური ფასი (აშშ დოლარი) | შენიშვნები |
| მომსახურების პროვაიდერების ჩართულობა, სამთავრობო ან არასამთავრობო (e.g. GBV, გარემოსდაცვითი საკითხები) | | 10000 | 4 | 40000 | |
| ტრენინგი გარემოსდაცვით / სოციალურ საკითხებზე RD, ზედამხედველობის და კონტრაქტორის / კონსულტანტის პერსონალისთვის | | 1000 | 4 | 4000 | |
| GBV ტრენინგი სსე-ს და კონტრაქტორის / კონსულტანტის შესაბამისი პერსონალისთვის | 2 | 500 | 2 | 2000 | |
| მოქალაქის/PAP დაინტერესებული მხარეების აღმის კვლევები | | 2500 | 2 | 5000 | |
| გაუთვალისწინებელი (10%) | | | | 13200 | |
| შუალედური შედეგი - დაინტერესებულ პირთა ჩართულობა | | | | 145200 | |
| | | | | | |
| საჩივრებზე რეაგირების ღონისძიებები | რაოდენობა | ერთეულის ფასი (აშშ დოლარი) | დროები / წლები | ჯამური ფასი (აშშ დოლარი) | შენიშვნები |
| საკომუნიკაციო მასალები (GRM ბროშურები, პოსტერები) | 1200 | 0,5 | 2 | 1 200 | |
| GRM სახელმძღვანელო | 100 | 10 | 1 | 1 000 | |
| წინადადებების ყუთი (თითოეულ მუნიციპალიტეტში და სოფელში) | 10 | 50 | 1 | 500 | |

| დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმა - შეფასებული ბიუჯეტი (4 წელი) | | | | | |
|---|------------------|-----------------------------------|-----------------------|---------------------------------|--|
| დაინტერესებულ პირთა ჩართულობის ღონისძიებები | რაოდენობა | ერთეულის ფასი (აშშ დოლარი) | დროები / წლები | ჯამური ფასი (აშშ დოლარი) | შენიშვნები |
| GRM კომიტეტების ტრენინგი მუნიციპალიტეტის დონეზე | 4 | 100 | 4 | 1600 | ერთი ტრენინგი / წელიწადი თითოეულ მუნიციპალიტეტში |
| შიდა GRM და სხვა პირთა ტრენინგი სსე-ს ზედამხედველობის და კონტრაქტორის პერსონალისთვის. | 1 | 500 | 4 | 2000 | ერთი ტრენინგი RD პერსონალისთვის და სხვებისთვის წელიწადში |
| გაუთვალისწინებელი (10%) | | | | 630 | |
| შუალედური | | | | 6930 | |
| | | | | | |
| საბოლოო | | | | 152130 | |

დანართი 1. საჩივრის წარდგენის ფორმა

| | |
|---|--|
| საჩივრის წარდგენის ფორმა | |
| სახელი, გვარი | |
| საკონტაქტო ინფორმაცია გთხოვთ მიუთითეთ უპირატესი საკომუნიკაციო საშუალება (ფოსტა, ტელეფონი, ელ-ფოსტა). | <input type="checkbox"/> ფოსტა: გთხოვთ მიუთითეთ საფოსტო მისამართი: _____ _____ <input type="checkbox"/> ტელეფონი: _____ <input type="checkbox"/> ელ-ფოსტა: _____ |
| სასურველი საკომუნიკაციო ენა | <input type="checkbox"/> ქართული <input type="checkbox"/> ინგლისური <input type="checkbox"/> რუსული |
| | |
| საჩივრის აღწერა: | /პრეტენზიის რას ეხება საჩივარი? პრეტენზია? |
| | |
| მოლაპარაკების თარიღი: | მოლაპარაკების გადაწყვეტილება: |
| | |
| | |
| რა არის თქვენი მოთხოვნის საფუძველი? | |
| | |
| ხელმოწერა: | _____ |
| თარიღი: | - |